# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 9 ივლისი 2005 №154 (2477) ფასი 50 თეთრი

## ლევადიას ვადა: დინამო თამაშზე აგვიანებს

თბილისის „დინამოს“ ტალინში გამგზავრების საქმე მოულოდნელად გაურთულდა. სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩია „ლევადიასთან“, საქართველოს ჩემპიონმა კი შესაძლოა მხოლოდ თამაშის დღეს ჩააღწიოს ესტონეთს. მიზეზი: ესტონეთის საკონსულო მოსკოვში, რომელიც თბილისელების ნაწილს იმ პასპორტებს უწუნებს, ორიოდ კვირის წინ გერმანელებმა და შვეიცარიელებმა უხინჯოდ რომ ჩათვალეს. შეგახსენებთ, რომ მატჩი, თავდაპირველი განრიგის თანახმად, ოთხშაბათს, 13-ში უნდა გამართულიყო, მაგრამ დინამოელებმა „ლევადიას“ თხოვნას ანგარიში გაუწიეს და ერთი დღით ადრე სტუმრობას დაჰპირდნენ.



## ბაბუ და უავგუსტესი სამყარო

ლენარტ იუჰანსონის პორტრეტი

9



## ფავორიტმა ფავორიტულად დაიწყო

ქართველებმა ისლანდიასთან გამარჯვებით დაიწყეს

13

# მოვიგეთ, ჩემპიონები ვართ!



## საქართველო 2:0 იტალია





# …ოინდომე და იქნება
## ცხადაძემ დინამო დააფასა, ლევადია შეაფასა



„დინამოს“ თავკაცი კახა ცხადაძე

*თბილისის „დინამომ“ გუშინ ახალი სეზონისთვის მზადების დამთავრების შემდეგ პრესკონფერენცია-პრეზენტაცია გამართა. ჯერ „დინამოს“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მოსამზადებელ პერიოდზე, ახალ ფეხბურთელებსა და მომავალ ევრომეტოქეზე ილაპარაკა, შემდეგ კი კლუბის მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ „დინამოს“ ახალწვეულები წარადგინა და მათ „დინამოს“ ახალი, „იაკოს“ ფირმის მაისურები გადასცა*

პრესკონფერენცია, ტრადიციულად, „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის სიტყვით დაიწყო, რომელიც კოლეგებს გუნდის გერმანულ-შვეიცარიული მზადების შემდეგ პირველად შეეგებდა, მწვრთნელმა კახა ცხადაძემ კი თქვა:

— გერმანია-შვეიცარიაში საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გვქონდა. შოთა კაშიასა და შოთა გრიგალაშვილის ტრავმებს თუ არ ჩავთვლით, რომელიც მათ გაუმიზეზდათ, ფეხბურთელებს კუნთიც არ ასტკივებიათ, რაც მოსამზადებელი პერიოდისას საწვრთნელი პროცესის სწორად დაგეგმვაზე მეტყველებს. ჩათვალეთ, რომ კაშიასა და გრიგალაშვილის გარდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის „დინამოს“ ყველა ფეხბურთელი მზად არის. კაშია საოპერაციოა, ხოლო გრიგალაშვილს ფეხის ძვალზე მცირე გამონაზარდი აქვს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთი ტრავმის მკურნალობის ორი მეთოდია, ორგანიზმი ან გამონაზარდს უნდა შეეგუოს, ან ოპერაცია გაკეთდეს.

— გერმანიასა და შვეიცარიაში ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავდა. მათ ჩვენი მოთხოვნები, ფეხბურთის თამაშზე ჩვენი შეხედულებები გავაცანით და მსურს, სიამოვნებით გითხრათ, რომ ყველა ახალწვეულმა „დინამოს“ მიზნებისა ირწმუნა და საქმის კეთებასაც გაათმაგებული ენერგიით შეუდგნენ. უნდა გენახათ, ამხანაგური მატჩებისას ფეხბურთელებმა როგორ მოინდომეს. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

— ყველა ახალწვეულით კმაყოფილი ვარ და მათ კონტრაქტებიც ამიტომ გავუფორმეთ. შეკრებაზე მხოლოდ რევაზ ქემოკლიძე შემოგვიერთდა მოგვიანებით. ჩანდა, რომ რეზო მოუმზადებელი იყო, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელია და ჩვენთვის სასურველ ფორმას, იმედი მაქვს, მალე აღიდგენს.

— გერმანულ-შვეიცარიულ შეკრებაზე, რასაც ვგეგმავდით, ყველაფერი კარგად შევასრულეთ. მზადების გრაფიკი არ დარღვეულა და გუნდიც გეგმის მიხედვით მოვამზადეთ.

— დღესდღეობით ჩვენი და ტალინის „ლევადიას“ გამარჯვების შანსები თანაბარია, ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება.

— „ლევადიას“ ამხანაგურ მატჩს „მოსკვას“ წინააღმდეგ მოსკოვში დავესწარი. მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას, რომ პრობლემების მიუხედავად მეტოქის მატჩზე დასწრების საშუალება მომცეს. მართალია, ამხანაგურ თამაშს სულ სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე ოფიციალურს, მაგრამ მიღებული ინფორმაციით მაინც კმაყოფილი დავრჩი.

— ვფიქრობ, ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად მომზადებულნი არიან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, შვეიცარიაში, „სენტ გალენთან“ ამხანაგური მატჩისას მეტოქისგან როგორი ზეწოლა გვქონდა. შეხვედრის დაწყებამდე „სენტ გალენის“ წარმომადგენლებთან მივედი და ვუთხარი, თუ მსაჯი იქნება მიკერძოებული ან განზრახ იუხეშებთ, თამაშს შევწყვეტთ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ მატჩს უეფას წარმომადგენელი ესწრებოდა, მაინც დაგვჩაგრეს. მატჩი ფრედ დამთავრდა, შემდეგ კი უეფას წარმომადგენლებმა ცუდი მსაჯობისთვის მოგვიბოდიშეს.

— „სენტ გალენთან“ მთელი მატჩი პრესინგით ვითამაშეთ და სასიამოვნოა, რომ „დინამომ“ შვეიცარიელებს არაფერი დაუთმო.

— ისიც სასიამოვნოა, რომ გამოკითხვის შედეგად ყველა პოზიციაზე საუკეთესო ფეხბურთელი „დინამოში“ თამაშობს. მართალია, შემადგენლობის მხრივ უკვე ჩამოვყალიბდით, მაგრამ ნუ გამორიცხავთ, რომ მალე სხვა ფეხბურთელებიც დავიმატოთ. „დინამოში“ სელექცია არ დამთავრებულა. ღმერთმა ქნას, „ლევადია“ თუ დავამარცხეთ, დანიურ „ბრონდბიუმდე“ ახალი ფეხბურთელების დამატების უფლება გვექნება.





ახალი დინამოელები: გია მეგრელაძე, რევაზ ქემოკლიძე, ზვიად სტურუა, გია ნერგაძე, ლევან ძოძია

# ზვიად სტურუა ბედნიერია

თბილისის „დინამომ“ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე დაიმატა.

ზვიად სტურუამ ქვეყნის ჩემპიონთან კონტრაქტი გააფორმა და, რა თქმა უნდა, ბედნიერია. „დინამომ“ ზვიადი საქართველოს თასის მფლობელი „ლოკომოტივიდან“ წინა სეზონის დასრულებისთანავე გადაიბირა, თუმც კახა ცხადაძეს მისი შეძენის სურვილი „დინამოს“ მწვრთნელად დანიშვნისთანავე ჰქონდა.

...ახლა კი „დინამოში“ ზვიად სტურუას, რომელიც „ლოკომოტივამდე“ „ტორპედოშიც“ უკონკურენტოდ იყო, ირაკლი ზოიძე დახვდა და „დინამოს“ მაისურით მისი წარდგენის შემდეგ ჩვენი კითხვაც ეს იყო:

**— „დინამოში“ ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე დაგხვდა. შენ ადგილზე ბევრი ირაკლი ზოიძესთან კონკურენტობას აერიდებოდა...**

— ზვიად სტურუა ბედნიერია, რომ „დინამოს“ ფეხბურთელი გახდა. ეს ჩემი ოცნება იყო და მსურს, ამ კლუბს, რაც ძალ-ღონე მაქვს, ვემსახურო.

**— ირაკლი ზოიძის კონკურენტობა არ გაშინებს?**

— ირაკლი, რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერი მეკარეა, მაგრამ ჩემი თავის იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, კახა ცხადაძე იმ მეკარეზე შეაჩერებს არჩევანს, ვინც კონკრეტული მატჩისთვის უკეთ მომზადებული იქნება.

**— ფიქრობ, რომ „ლევადიასთან“ ძირითადში შენ იქნები?**

— არ ვიცი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— საუკეთესო ფორმაში ხარ?**

— არაფერს ვუჩივი. წლეულს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დამასახელეს, საქართველოს ნაკრებში ვითამაშე, ჩემპიონ „დინამოში“ გადავედი... არც მოსამზადებელი პერიოდისას ლამიკლია დატვირთვა და მგონია, რომ კარგ ფორმაში ვარ.

**— „დინამოს“ როგორ შეეგუე, როგორ ფიქრობ, „ლევადიას“ დაამარცხებთ?**

— ძალიან კარგი გუნდი გვყავს და ყველაფერს ვეცდებით ევროსარბიელზე წარმატების მისაღწევად. „ლევადია“ არ ვიცი, რა გუნდია, მაგრამ მგონია, რომ ამჟამინდელ „დინამოს“ ესტონელთა დამარცხება შეუძლია.

**ძოგა ინასარიძე**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# იტალიას მისივე იარაღით მოვუგეთ

**მაშ ასე,** ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა! ფინალში ჩვენებურებმა ტურნირის მასპინძლებს, იტალიელებს 2:0 სძლიეს — გოლები ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა და დავით ჯანელიძემ („თბილისი") გაიტანეს.

ქართველმა ჭაბუკებმა ფინალი ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *თევდორაძე, თომაშვილი, გვაძაბია, ხიდაშელი, ელბაქიძე, დაუშვილი, ბენაშვილი, ბჟალავა, გოგოხია, ძარია (ჯანელიძე), წინამძღვრიშვილი (შარანგია).*

როგორ წარიმართა მატჩი და როგორ გავიტანეთ გოლები — ამის შესახებ გუნდის მთავარი მწვრთნელი *კობა ჟორჟიკაშვილი* გიამბობთ, ვისაც ნამატჩევს შევეხმიანეთ.

— იტალიელებს მათივე იარაღი, კონტრშეტევები დავუპირისპირეთ, 4-4-1-1 სქემით ვითამაშეთ. წინამძღვრიშვილმა გოლი ასე გაიტანა — ბურთი ორ მცველთან ბრძოლაში მოიგო, პენალტის ნიშნულიდან ოდნავ მარჯვნივ გაიჭრა და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი. რაც შეეხება მეორე გოლს, ის კონტრშეტევაზე შევაგდეთ: შეტევა მარცხნიდან განვავითარეთ, წინამძღვრიშვილი დრიბლინგით გასცდა მცველს, შუისკენ შეიწია და მისი პასით ჯანელიძემ 10-11 მეტრიდან შეაგდო ბურთი კარში — ეს დაახლოებით 83-ე-84-ე წუთზე მოხდა. იტალიელები მეტწილად სტანდარტული სიტუაციებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, რადგან მათ ბევრი ტანმაღალი მოთამაშე ჰყავთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ერთ-ორჯერ ჩვენმა მეკარე თევდორაძემ ითამაშა კარგად. მოკლედ, იტალიელები ჩვენგან დიდ წინააღმდეგობას არ ელოდნენ, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს. თამაშის შემდეგ ოქროს მედლები გადმოგვცეს და საქართველოს ჰიმნი შეასრულეს. გმადლობთ და ყველას გილოცავთ ამ გამარჯვებას — ასეთი გახლავთ ჟორჟიკაშვილის სიტყვა.

**დავით თავართქილაძე**



შარშან, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიამ" შინ „ვისლასთან" 2:8 წააგო, მაგრამ უეფასგან მაინც გულუხვად დასაჩუქრდა

# ვისი ბრალია ნემსაძის უქმობა?



**32 წლის** გიორგი ნემსაძე უფეხბურთოდ დარჩა, არადა, ფეხბურთელობა შუა სეზონში იმიტომ მიატოვა, რომ კვლავ ფეხბურთში ყოფილიყო.

ნემსაძე თბილისის „დინამოს" მარტში დაემშვიდობა და აპრილში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა გადაწყვიტა, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციაში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და ბოლო მომენტში კანდიდატურაც მოხსნა.

შემდეგ ეროვნული ნაკრების ექსკაპიტანი გორის „დილას" შეძენას აპირებდა, მანამდე „რუსთავისაც", მაგრამ...

— ფინანსური საკითხის გამო ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, „დილას" თუ „რუსთავის" შეძენისთვის ისეთი თანხა დაგვისახელეს, რაც ძვირია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. მოკლედ, ახლა უფეხბურთოდ დავრჩი, რაც არანაირად არ მინდოდა — გვითხრა ნემსაძემ.

...საფეხბურთო სამყარო და ქვეყნის ხელისუფლება — როგორც ჩანს, თამაშის წესები ჯერ არ არსებობს.

**დავით თავართქილაძე**

# სოხუმმა გადელიათი იმარჯვა



**გუშინ** სოხუმის „დინამომ" მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — თბილისის „სპარტაკს" გაეჯიბრა და 1:0 მოუგო, გოლი რუსეთის პირველი დივიზიონიდან წამოსულმა თემურ გადელიამ გაიტანა — მისი „დინამოში" დარჩენა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, საქართველოში გადელია ბოლოს 2000 წელს თამაშობდა თბილისის „დინამოში."

სოხუმის „დინამო" შეკრებას გრიგოლეთში ან ლაგოდეხში გააგრძელებს, სადაც თბილისიდან 13-14 ივლისს გაემგზავრება.

**ნიკა ჯორჯაძე**

# რა დაუჯდა უეფას ქართული კლუბები

## ხარჯთაღრიცხვა დინამოს გარეშე

**გამჭვირვალობა!** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობისთვის ეს სიტყვა და ცნება, ფაქტობრივად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინასაარჩევნო დაპირება იყო და სანამ ფედერაციის ახალი პრეზიდენტი და მისი გუნდი მთელი სიმძლავრით ამოქმედდებიან, მანამდე იმას მოგახსენებთ, თუ რა თანხა შემოუდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფადან ქართული კლუბების ევროტურნირებზე გამოსვლით.

უეფას შემოსავლების უმთავრესი წყარო ჩემპიონთა ლიგაა. ამ ტურნირში ჯგუფური ეტაპიდან მონაწილე კლუბებს უეფა როგორ უნაწილებს თანხებს, გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩენილ გუნდებზეც ვთქვათ. მანამდე დავძენთ, რომ ჩემპიონთა ლიგიდან შემოსული მოგებიდან დაახლოებით 16 მილიონი შვეიცარიული ფრანკით უეფა „ჰეთ თრიქის" პროექტს აფინანსებს.

ახლა კი მთავარზე. გუნდი, რომელიც თამაშობს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ვერ მიაღწევს ჯგუფურ ეტაპამდე, თითოეულ საკვალიფიკაციო რაუნდზე თამაშისთვის იღებს 80 000 შვეიცარიულ ფრანკს და, თუ ეს გუნდი თავისი ქვეყნის ჩემპიონია, დამატებით ერიცხება 150 000 შვეიცარიული ფრანკი.

ჩემპიონთა ლიგის შემოსავლებიდან თანხა ერიცხება იმ გუნდსაც, რომელიც უეფას თასის პირველ ეტაპზეა ან წინა ეტაპებზე ითამაშა — თითოეულ რაუნდზე თამაშისთვის გუნდს 80 000 შვეიცარიული ფრანკი ეკუთვნის.

ერთი სიტყვით, უეფამ 2004-05 წლების სეზონში ქართული კლუბების ევროტურნირებზე თამაშის მიხედვით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 470 000 ფრანკი გამოუყო — „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონთა ლიგის პირველ ორ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა — 160 000 ფრანკი; „თბილისმა" უეფას თასის ორ საკვალიფიკაციო ეტაპზე — 160 000 ფრანკი; ამას უნდა დავუმატოთ ის 150 000 ფრანკი, რომელიც „ვიტ ჯორჯიას" დამატებით ეკუთვნის, რადგან ის საქართველოს ჩემპიონი გახდა შარშან და ასე ითვლება ჯამი 470 000 ფრანკამდე.

რადგან თბილისის „დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია, მისი კუთვნილი შემოსავალი უეფას ამ გამონათვალში არ დაუანგარიშებია.

**დავით თავართქილაძე**

### 2004-05 წლების ევროსარბიელზე „ჯგუფებში" ვერმოხვედრილი გუნდებისთვის უეფას მიერ გამოყოფილი თანხები წევრი ასოციაციებისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბანეთი | 550 000 | ლატვია | 790 000 |
| ანდორა | 230 000 | ლიხტენშტეინი | 160 000 |
| სომხეთი | 550 000 | ლიტვა | 630 000 |
| ავსტრია | 390 000 | ლუქსემბურგი | 390 000 |
| აზერბაიჯანი | 470 000 | მაკედონია | 390 000 |
| ბელარუსი | 390 000 | მალტა | 390 000 |
| ბელგია | — | მოლდოვა | 630 000 |
| ბოსნია ჰერცეგოვინა | 550 000 | ჰოლანდია | — |
| ბულგარეთი | 710 000 | ჩრ. ირლანდია | 470 000 |
| ხორვატია | 310 000 | ნორვეგია | 480 000 |
| კვიპროსი | 470 000 | პოლონეთი | 630 000 |
| ჩეხეთი | 550 000 | პორტუგალია | 240 000 |
| დანია | 470 000 | ირლანდია | 630 000 |
| ინგლისი | 80 000 | რუმინეთი | 550 000 |
| ესტონეთი | 470 000 | რუსეთი | 240 000 |
| ფარერები | 390 000 | სან მარინო | 230 00 |
| ფინეთი | 550 000 | შოტლანდია | 80 000 |
| საფრანგეთი | 80 000 | სერბია მონტენეგრო | 550 000 |
| **საქართველო** | 470 000 | სლოვენია | 870 000 |
| გერმანია | 80 000 | ესპანეთი | — |
| საბერძნეთი | 160 000 | შვედეთი | 870 000 |
| უნგრეთი | 470 00 | შვეიცარია | 390 00 |
| ისლანდია | 630 000 | თურქეთი | 400 000 |
| ისრაელი | 630 00 | უკრაინა | 320 000 |
| იტალია | 80 000 | უელსი | 390 000 |
| | | ჯამი: | 21 000 000 |

# გახსნილი და მაინც გაუხსნელი ახალაია

**შვეიცარიაში** „იანგ ჯორჯიან სტარი“ ჩამოვიდაო, ეს სათაური იყო გამოჭიმული ნეიტრალური ქვეყნის ერთ-ერთ საფეხბურთო ვებ-გვერდზე. ქების ადრესატი კი 22 წლის თავდამსხმელი ლადო ახალაია გახლდათ. 189-სანტიმეტრიან ქართველს „ციურიხში“ დაფდაფებით არ დახვედრიან, მაგრამ იმედიანად კი მიიღეს. მწვრთნელი ლუსიენ ფავრიც ყოველთვის ამბობდა, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მინდა გუნდშიო. ეს ამბავი ამა წლის იანვარში იყო.



ალალად რომ ვთქვათ, საქართველოს ჩემპიონატიდან საშუალოზე საშუალო დონის შვეიცარიულ ლიგაში მოხვედრაც კი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ახალაიამ „ციურიხში“ ვერ გაამართლა — ჯერჯერობით სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელია. ეს ჯერჯერობით...

ხობელი ახალაია 1998 წელს 16 წლისა მოხვდა „დინამო 3“-ში, სადაც 21 თამაშში 10 გოლი შეაგდო და ამით მესიჯი გაუგზავნა „დინამო 2“-ს, რომელსაც „თბილისი“ დაერქვა და ერთ წელიწადში ლადო უკვე იქ ირიცხებოდა, თუმც მინდორზე გასვლა ხშირად არ უწევდა, ხშირად ტრავმაც არ უშვებდა. ტანმაღალ ფორვარდს ამომავალ ვარსკვლავად არავინ თვლიდა და ბევრს გაუკვირდა კიდეც, ორ წელიწადში ახალაიამ მოლდოვურ „ზიმბრუში“ გოლაობა რომ დაიწყო. ორ სეზონში ქართველმა ჭაბუკმა 40 თამაშში 12-ჯერ გაიტანა.

ახალაიას კარიერაში საკვანძო მომენტი 2002 წლის ზაფხულში დადგა, როცა თბილისის „დინამოში“ უკვე ხორვატი ივო შუშაკი მუშაობდა. სწრაფი და ტანმაღალი ფორვარდი მალევე ჩაჯდა შუშაკის ფორმაციის „დინამოში“, თუმც გვახსოვს, მის მიმართ კრიტიკაც ხშირად ისმოდა. ახალაია ხან „შუბის წვერი“ იყო, ხანაც უკანდახეული ფორვარდი, შუშაკი მას ორივეგან ათამაშებდა და, რაც მთავარია, ენდობოდა.

„მე არ ვთვლი, რომ ახალაია გუნდის სათამაშო სქემიდან ამოვარდნილია. ის საკმაოდ ჭკვიანია და მისი იმედი გვაქვს. ლადო მალე დაგვანახებს თავის სიძლიერეს“ — ამბობდა ხორვატი სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაციაში მაშინ ეჭვი არავის შეჰქონდა.

2002 წლის „დინამოს“ სხვა აურა ჰქონდა, კლუბი უკვე ბადრი პატარკაციშვილისა იყო და საუეფასთასოდ შემზადდა: პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ორივე მატჩში, ესტონეთის ტვმკ-სთან ლადომ ძირითადში ითამაშა, ტალინში კი მატჩის მიწურულს გოლი შეაგდო და „დინამომ“ 1:0 მოიგო. მერე იყო ჩეხური „ლიბერეცის“ გადაულახავი ბარიერი და სწორედ ლიბერეცში წაგებულმა 2:3-მა დამუხტა ქართველი ქომაგები, როგორ, ჩეხეთის ჩემპიონთან სტუმრად ერთი ბურთით წაგება? ეს ხომ „დინამოს“ ძველი დიდების დაბრუნების დასაწყისია?! აქედან არაფერი გამოვიდა, ახალაიას გუნდმა თბილისშიც წააგო, მერე კი დინამომანია ნელ-ნელა ისევ მინელდა, კლუბი საქართველოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ არცთუ შთამბეჭდავად, როგორც სეზონის დაწყებამდე ელოდნენ.



იმავ წელიწადს ლადო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს თურქეთთან ამხანაგურ მატჩში, თუმც ალექსანდრე ჩივაძემ ის არ ათამაშა. ეროვნული ნაადრევი გამოდგა, მაგრამ ტანმაღალი, სწრაფი შემტევი ახალგაზრდული ნაკრებისთვის მისწრება იყო, ჯერ ვახტანგ კოპალეიშვილმა, მერე კი რევაზ არველაძემ ახალაიას მწვანე აუნთეს და ფეხბურთელიც ათამაშდა: ირლანდიელ ახალგაზრდებს შინაც და სტუმრადაც აძგერა ლამაზი თავურები. იმ ნაკრებში ლადო ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო მალხაზ ასათიანთან ერთად. იგივე თქვა რევაზ არველაძემაც. სხვათა შორის, უფროს არველაძეს „დინამოში“ თავკაცობისასაც სურდა ახალაიას შეძენა, მაგრამ მაშინ „დინამო“ ბიუჯეტზე იჯდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი სატრანსფეროდ ვერ ხელგაშლილობდა.

2003 წელი ახალაიასთვის არც ბარაქიანი ყოფილა და არც ნავსიანი, ეგაა, „დინამომ“ „ტირანასთან“ შინ მოგებული 3:0 სტუმრად გაანიავა. მაგრამ ლადომ ზუსტად იმ 3:0-ისას ალბანელ მცველებს სიქა გააცალა.

და დადგა თანამეგობრობის თასის გათამაშების დროც, სადაც გულშემატკივარმა ახალი ახალაია ნახა: „დინამომ“ მართლაც რომ „გადახნა“ მეტოქეები მოსკოვურ მანეჟში, ლადომ კი... მცველად ითამაშა.

იმხანად გუნდი ოთარ ხიზანიშვილმა და ალეკო ამისულაშვილმა დატოვეს. შუშაკს უკანა ხაზში ფეხბურთელები აკლდა და ახალაიას უხმო: ამჟამად ციურიხელმა მაშინ, თანამეგობრობაზე მარჯვენა მცველად იჩაუქა, ზოგჯერ კი სამკაციან დაცვაში სტოპერობასაც ითავსებდა.

„მწვრთნელი სადაც დაგავალებს, იქ უნდა ითამაშო, თუმც გული მაინც შეტევისკენ მიმიწევდა“ — თქვა ახალაიამ ტურნირის მერე.

იმ წელიწადს, ანუ შარშან, „დინამოში“ სიტუაცია აირია. სეზონის ბოლოს ივო შუშაკი გია გეგუჩაძემ შეცვალა, ახალაიას გუნდმა ჩემპიონობა „ვიტ ჯორჯიას“ გადაულოცა და საქართველოს თასის ამარა დარჩა. შეიცვალა ლადოს როლიც: გეგუჩაძე შუშაკივით არ სწყალობდა ფორვარდს, ეგ კი არა, ძირითადი შემადგენლობა სანატრელი გაუხადა.

და მაინც, „დინამომ“ რომ უეფას ჯგუფურ ეტაპზე გააღწია, ამაში ახალაიამაც დაიდო წილი. „ვისლასთან“ თბილისურ მატჩში გეგუჩაძემ მეორე ტაიმში ახალაიას უხმო, რამაც გაამართლა კიდეც — ლადომ სიმწვავე შემატა თავისიანთა შეტევებს და გადამწყვეტი პენალტიც მოინადირა. გეგუჩაძემ კი ფორვარდის ძალები არ ირწმუნა, მას მელქაძესა და კაკალაძეს ამჯობინებდა. სხვა შანსი არ იყო, ახალაია „დინამოდან“ უნდა წასულიყო...

და წავიდა კიდეც, მაგრამ არა „თბილისში“, სადაც მას იწვევდნენ და თანამეგობრობის თასზე თამაშს სთავაზობდნენ, არამედ შვეიცარიულ „ციურიხში“. ლადომ ნეიტრალელებთან 1+2 კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ გვახსოვს, წასვლა არ უნდოდა. რატომ? ამის მიზეზი არ უთქვამს, ისე კი, ამბობდნენ, დონეცკის „შახტარში“ გადასვლის ვარიანტი ჰქონდაო.

ციურიხში ლადოს დებიუტი ჰქონდა, ნუ იტყვით. ჩვენიანმა გერმანულ „კარლსრუესთან“ ტესტ-მატჩში გოლი და საგოლე პასი მიითვალა, ერთი პენალტიც მოუპოვა თავისიანებს და თითქოს ძირითად თერთმეტეულში ნდობის კრედიტი გახსნილი ჰქონდა, მაგრამ იანვარს აქეთ ქართველი ხან ტრავმამ შეაწუხა, ხანაც ცნობილი რუმინელი ილიე და მალელი კეიტა ეღობებოდნენ კონკურენტებად.

ახლა ახალაია „ციურიხშია“ და სეზონისწინა საკონტროლო თამაშებშია ჩართული, წინა თამაში „შახტართან“ მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ხვალ მწყობრში უნდა იყოს. ლადოს გუნდი დანიის „ბრონდბიუს“ ეამხანაგურება.

იყო ხმები, ახალაია რეჟიმს არღვევდა და გეგუჩაძეც ამიტომ მოიმდურაო. ახლა კი, ეგებ, ლადომ ექვსთვიანი ციურიხული წარუმატებლობა უკან მოიტოვოს და ისე ათამაშდეს, როგორც 2002-2004 წლებში გვახსოვს.

**ილია ნანობაშვილი**



# ქუთაისური სიჩუმე: არც მოსული, არც წასული

**ქუთაისის** „ტორპედო“ თბილისში 13 ივლისს ჩამოვა, 14-ში კი საუეფასთასოდ ბელარუსულ ბატეს ეროვნულ სტადიონზე შეერკინება. ქუთაისელთა წასულ-მოსულ ფეხბურთელებზე ბევრი დავწერეთ და რადგან ბოლო დღეებში არაფერი შეცვლილა, ამჯერად ჩამოთვლას არ დავიწყებთ. შემადგენლობის დასუსტება ერთია და „ტორპედო“ ბელარუსებთან მატჩამდე სერიოზული ტესტ-მატჩის გამართვას ვერ ახერხებს — ეგაა, ოთარ გაბელიას გუნდი დასავლეთ რეგიონის ახალგაზრდულ ნაკრებს გაეჯიბრა და 4:0 მოუგო.

ქუთათურთა 24-კაციან საუეფასთასო განაცხადში ბევრ უცნობ გვარს ამოიკითხავთ, მაგრამ გაბელია ქართველ ქომაგებს ბოლომდე ბრძოლას ჰპირდება, წინასწარ წაგებული არ გეგონოთ ბატესთან თამაშიო...

***მეკარეები:*** *რევიშვილი, გაბელია*

***მცველები:*** *გამეზარდაშვილი, ლონლაძე, რაქვიაშვილი, ებრალიძე, ს. ონიანი, რ. ბარაბაძე, ჯანჯალია, ბაქრაძე*

***ნახევარმცველები:*** *სისელია, ბოლქვაძე, ზ. ჩხეტიანი, ქ. შალამბერიძე, გ. კვეტენაძე, გ. ახალაია*

***თავდამსხმელები:*** *კაკალაძე, რ. ჯიქია, ხატიაშვილი, კეხოვი, ზიბზიბაძე, ჩახუნაშვილი*

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | სეზონისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), აკობია (კოლხეთი) | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ქელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭეიშვილი (?) | ფორტუნა (გერმანია) 5:1<br>ჰალბრინი (გერმანია) 5:0<br>რადევორმვალდი (გერმანია) 8:1<br>სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1<br>გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0<br>შაფჰაუზენი (შვეიცარია) 1:2 |
| **ტორპედო** ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?)* | |
| **თბილისი** თბილისი | | გრიშიკაშვილი (ბაქო, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გენაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარასი (მთავარი მწვრთნელი), მინჩო (?), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (ბორჯომი),* შ. ჯიქია (ბორჯომი), აფციაური (ბორჯომი), ფიფია (?) | სიონი 4:3 |
| **ლოკომოტივი** თბილისი | შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), ინოგოვი (?, უზბეკეთი) | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), სანიკიძე (აქტობე, ყაზახეთი) | სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) 4:3, დიარბაქირი (თურქეთი) 0:4 |
| **ზესტაფონი** ზესტაფონი | კოშკაძე (ტორპედო), გუშარაშვილი (ბათუმი), *ლაფერაშვილი (ნიუნბერგი-მოყვ.)* | გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?)* | |
| **ვიტ ჯორჯია** თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | ინწკირველი (კარვანი, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?), ვ. გოჩაშვილი (ბორჯომი), გ. კვახაძე (ამერი) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1 |
| **დინამო** ბათუმი | *ნუნუნავა (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), დარჩიძე (სიონი), ბეგლარ თევდორაძე (სიონი), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სილოლაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხიმერიკი (?) | |
| **სიონი** ბოლნისი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), კაკაშვილი (ჩერნო მორე), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (უგუნდო), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი), მიკუჩაძე (კოლხეთი), დარჩიძე (ბათუმი) | რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), დოლიძე (?, ლატვია), ბ. შენგელია, ა. ლაბაძე (ორივე სოხუმი) | ლოკომოტივი 1:6, ბორჯომი 0:5, თბილისი 3:4, სოხუმი 0:2, ამერი 0:2, სპარტაკი 1:0 |
| **კოლხეთი** ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), თაყაძე (ცხინვალი), აკობია (დინამო), ბაითაშვილი (?), მიკუჩაძე (სიონი) | |
| **დილა** გორი | *ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)* | მამესწარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| **ამერი** თბილისი | ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი) კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | გაგრა 0:1<br>სიონი 2:0 |
| **ბორჯომი** ბორჯომი | მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), აფციაური (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), მიქიაშვილი (თბილისი), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), *პაპიძე (უგუნდო), მესხი (თბილისი), ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია)* | *კვეკვესკირი (სოხუმი), ლაბაძე (?), ვილიკიჯი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივნივაძე (?)* | სიონი 5:0, სოხუმი 0:1 |
| **დინამო** სოხუმი | ყორყოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო),* ჟვანია, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი), სეფიაშვილი (მერანი), ა. ლაბაძე, ბ. შენგელია (ორივე სიონი), ჩომახიძე (ჩიხურა), გ.ჩხაიძე (ჩიხურა) | | ბორჯომი 1:0, სიონი 2:0 |
| **კახეთი** თელავი | კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), ზ. ლაბაძე (რუსთავი) | | |
| **ცხინვალი** ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?), გამცემლიძე (?), თაყაძე (კოლხეთი) | | |
| **სპარტაკი** თბილისი | გ. იმნაძე (მთავარი მწვრთნელი) | ბ. შეროზია (მთავარი მწვრთნელი), ტატანაშვილი (ამერი), დონდოლაძე (სიონი), ჯანგიძე, ჟვანია (ორივე სოხუმი) | სიონი 0:1 |

**მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, დახრილი შრიფტით: სავარაუდო ტრანსფერი**

# პოჯი, ნუ ხარ წუწკი




პატრიკ ვიეირაზე „იუვენტუსი“ სერიოზულად ფიქრობს

**ფრანგი** ნახევარმცველის, პატრიკ ვიეირას „იუვენტუსში“ გადასვლის შანსები უფრო და უფრო იზრდება. როგორც ჩანს, ტურინელების მთავარი სამიზნე ამჟამად სწორედ 29 წლის ვიეირაა, მაგრამ „ბებერი ქალბატონი“ ტრადიციულად წუწკობს.

„მე არ მითქვამს, რომ იგი ძალიან ძვირია, უბრალოდ, „არსენალი“ ვიეირას შენარჩუნებას ცდილობს. ასეა თუ ისე, ჩვენ კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ და იქნებ მოვრიგდეთ კიდეც. ლონდონელებმა შედარებით მისაღები წინადადება რომ შემოგვთავაზონ და გარკვეულ კომპრომისზე წავიდნენ, ტრანსფერს ხვალვე განვახორციელებთ“ — განაცხადა „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

როგორც გაირკვა, „მეთოფეები“ დაახლოებით 15 მილიონ ევროს ითხოვენ, ტურინელები კი მხოლოდ 5 მილიონისა და სტეფან აპიას დათმობაზე არიან თანახმა.

ამასობაში, „ბებერმა ქალბატონმა“ კონტრაქტი გაწყვიტა მარსელო სალასთან. 31 წლის ჩილელი უკვე თავისუფალი აგენტია. იგი ბოლო ორი წლის მანძილზე „რივერ პლეიტში“ იყო განათხოვრებული და ალბათ მომავალ სეზონსაც იქ გაატარებს.

სავარაუდოდ, „დელე ალპის“ დატოვებს „ფიორენტინადან“ ახლახან დაბრუნებული ენცო მარესკაც. მისით ინგლისური „ფულემი“ ყოფილა დაინტერესებული და მხარეებს შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია. ლონდონელები 3 მილიონ ევროს იხდიან.

შესაძლოა, „იუვეს“ მაისურა მოირგოს „ბენფიკას“ მცველმა მიგელმაც. იტალიის მოქმედი ჩემპიონები მას უკვე საკმაო ხანია უტრიალებენ, მაგრამ ფეხბურთელს ჯერ თავის ამჟამინდელ კლუბთან უნდა მოაგვაროს პრობლემები. საქმე ისაა, რომ პორტუგალიელის თქმით, იგი უკვე თავისუფალი აგენტია. ლისაბონელები კი ირწმუნებიან, კონტრაქტს ვადა ჯერ არ გასვლიაო.

ლუჩანო მოჯი: მიგელით მართლაც დაინტერესებულნი ვართ, მაგრამ ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ იგი თავისუფალი აგენტია. მასში თავის გაყოფას არ ვაპირებთ“.

**გიორგი ძაძამიძე**



სტივენ ჯერარდმა კრიტიკოსები ახალი კონტრაქტით გააჩუმა

# მოაწერა!

## ჯერარდი და კარაგერი ოთხწლიანში

**სტივენ ჯერარდმა** „ლივერპულთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და შფოთიანი კვირა ამით დასრულდა.

წასასვლელად გამზადებულმა გუნდის კაპიტანმა ხელმოწერით დაადასტურა, რომ 2009 წლამდე „ლივერპულს“ უერთგულებს. რაფაელ ბენიტესი უკვე ჯერარდის შემცვლელზე ფიქრობდა, როცა ვითარება შეიცვალა და „წითლების“ გულშემატკივრებმაც შვებით ამოისუნთქეს. კაპიტნის გარდა ოთხწლიანზე დათანხმდა დაცვის ჯიგარი ჯეიმი კარაგერიც, ხოლო კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პერიმ განაცხადა: „ამდენი ნერვიულობის შემდეგ გავიხარეთ. ორივე ფეხბურთელი ჩვენთან რჩება“.

კარაგერმა კი თქვა: „ახალი კონტრაქტით კმაყოფილი ვარ, „ლივერპული“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია, რომელსაც საოცარი ქომაგები ჰყავს. ვამაყობ, რომ კიდევ ოთხი წელი ლივერპულელი ვიქნები და ალბათ კარიერასაც აქ დავასრულებ. ჩემპიონთა თასი მოვიგეთ, მანამდე უეფას თასის ალვმართეთ, ახლა კი მე და სტივს პრემიერლიგის მოგება გვსურს, რომ მედლების სრული კომპლექტი გვქონდეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პარმას ბოლო სიტყვა

## ვის დარჩება ჯილარდინო?




ალბერტო ჯილარდინოს „პარმამ“ ფასი დააკლო

**იტალიური** „პარმას“ ხელმძღვანელობა გვამცნობს, რომ ალბერტო ჯილარდინოს ფასს აღარ დააკლებს. მოგეხსენებათ, „ენიო ტარდინის“ ბინადრები ბოლოს 22 მილიონ ევროზე შეჩერდნენ და ჯიუტად ირწმუნებიან, რომ თავიანთ ვარსკვლავს უფრო იაფად ვერ შეელევიან.

„ახალს ვერაფერს გეტყვით. ჩვენ 22 მილიონს ვითხოვთ და ეს ბოლო სიტყვაა. ამ დღეებში „მილანთან“ აღარ გვისაუბრია და მათი პოზიცია არ ვიცით. თავად ალბერტოს „როსონერიში“ გადასვლა უნდა და ჩვენც გვსურს, რომ იგი გავახაროთ, მაგრამ რა გამოვა, თავადაც ნახავთ. მოლაპარაკებისთვის ყოველთვის მზად ვართ“ — აღნიშნა „პარმას“ პრეზიდენტმა გვიდო ანჯოლინიმ.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, ზაფხულში მეტ ტრანსფერებს აღარ განვახორციელებთო, მაგრამ ახლა სხვაგვარად აჭიკჭიკდა: „მე ვთქვი, რომ ჯილარდინოს ძალიან ძვირს აფასებენ და ჩვენ ამდენის გადასახდელად მზად არ ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის შეძენაზე აღარ ვფიქრობთ და საკითხის დახურვას ვაპირებთ“.

ასეა თუ ისე, „მილანის“ პოზიციიდან გამომდინარე, ჯილარდინოს სხვა მსურველების შანსები იზრდება. მათ შორის „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „ჩელსი“ არიან. გადამწყვეტი კი ალბათ თავად ფეხბურთელის სიტყვა იქნება. მას უნდა, რაც შეიძლება, სწრაფად გამოიცვალოს კლუბი და საზღვარგარეთ წასვლას სამშობლოში დარჩენა ურჩევნია.

ალბერტო ჯილარდინო: „ვითარება ყოველდღიურად იცვლება და ვერაფერს ვივარუდებ. ერთადერთი, რაც მინდა, ის არის, რომ ყველაფერი მალე გადაწყდეს. იმედია, „პარმას“ ხელმძღვანელობა ხელს შემიწყობს“.

**გიორგი ძაძამიძე**

# კასანოს იუვეში ვერასდროს ნახავთ




ანტონიო კასანოს „რომას“ უფროსობასთან პრობლემები აქვს

**„იუვენტუსის“** გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ საინტერესო განცხადებები გააკეთა. მოგეხსენებათ, ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, ტურინული კლუბი ეგებ დავიდ ტრეზეგეს შეელიოს, მის ნაცვლად კი ანტონიო კასანო დაიმატოს, რომელსაც საცაა გადაიბირებსო, თუმც მოჯიმ ეს ყველაფერი კატეგორიულად უარყო.

„ტრეზეგე ხელშეუხებელია. მნიშვნელობა არა აქვს, რა სახის წინადადებას მივიღებთ. ჩვენ სერია A-ში საუკეთესო თავდამსხმა გვყავს და მისი შენარჩუნება გვინდა. რაც შეეხება კასანოს, იგი „იუვენტუსში“ არასოდეს ითამაშებს“ — თქვა მოჯიმ.

იტალიური პრესა კი იმ არაერთ შემთხვევას იხსენებს, როდესაც ტურინელთა გენერალური დირექტორის სიტყვები რამდენიმე დღეში საპირისპიროდ შეტრიალებულა. მოჯის ამგვარი ტრიუკი არაერთხელ გამოუყენებია, რათა მოლაპარაკება მშვიდ და ფარულ ვითარებაში ჩაეტარებინა. ამიტომ ყველაფერი მოსალოდნელია.

ისიც ფაქტია, რომ კასანოს „რომაში“ დარჩენის შანსები ძალიან მცირეა. მას დედაქალაქელთა უფროსობასთან ურთიერთობა საგრძნობლად გაუფუჭდა. იგი ხელფასის მომატებას ითხოვს, მაგრამ კლუბის ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. არადა, მხარეებს შორის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2006 წელს გასდის და თუ ახალი შეთანხმება ახლავე არ გაფორმდა, რომაელებს კასანოს გაყიდვა ყველა შემთხვევაში მოუწევთ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ბელამის ბლექბერნი

**კრეიგ ბელამი** ივნისის დასაწყისიდან ეძებდა ახალ გუნდს და მიაგნო — უელსელი ფორვარდი „ბლექბერნში“ გადავიდა, რომელსაც უელსის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მარკ ჰიუზი წვრთნის.

„ბედნიერი ვარ და ვეცდები, რომ ჩემი საქმე ფრიადზე შევასრულო — თქვა ბელამიმ — ძალიან რთულ ვითარებაში ვიყავი, ახლა კი აღარ ვნერვიულობ, რადგან ვითამაშებ გუნდში, სადაც მიცნობენ“.

შეგახსენებთ, რომ კრეიგ ბელამი გასულ შემოდგომაზე „ნიუკასლში“ იყო, მაგრამ გრემ სუნესთან ჩხუბის გამო გლაზგოს „სელტიკში“ გაანათხოვრეს და სეზონის მეორე ნახევარში იქ თამაშობდა.

„ეს უკვე სერიოზული განაცხადია — აღნიშნა მარკ ჰიუზმა — ჩვენ გვყავს ფორვარდი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მას შეუძლია, გულშემატკივრები „დაქოქოს“. ვიმედოვნებ, მის სანახავად მისვლას არ დაიზარებენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სოლარი სკუდეტოს გვპირდება

**სამწლიანი** მცდელობის შემდეგ „ინტერმა“ საწადელს მაინც მიაღწია და სანტიაგო სოლარი დაიმატა. მილანური კლუბი ამ ტრანსფერთან ახლოს ჯერ კიდევ 2002 წლის ზაფხულში იყო, მაგრამ იქიდან მოყოლებული დღემდე მხარეები ფინანსურ დეტალებზე ვერ თანხმდებოდნენ.

ახლა კი არგენტინელი ნახევარმცველი „ნეროაძურიში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და გუნდთან 2008 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. იგი სეზონში დაახლოებით 1,8 მილიონ ევროს მიიღებს. მან უკვე სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და კვირის ბოლომდე ესპანეთში დაბრუნდა, რათა საბოლოოდ მოემზადოს იტალიაში გადასაბარგებლად.


როგორც იქნა, სანტიაგო სოლარი ოფიციალურად გახდა ინტერელი

სანტიაგო სოლარი: „ინტერი“ დიდი კლუბია და მე ყველანაირად ვეცდები, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო, რათა გუნდს სარგებლობა მოვუტანო. ძალიან მიხარია, რომ რობერტო მანჩინი მენდობა და ჩემი ჩამოსვლა ძალიან გაუხარდა. მას ჩემი შეძენა ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, როცა „ლაციოს“ წვრთნიდა. ასეა თუ ისე, ახლა აქ ვარ და იმედია სკუდეტოს მოგებას შევძლებთ. ამ დაპირების შესრულება შემიძლია. ვიცი, რომ „ნეროაძური“ ყველაზე მეტად სწორედ ამას ელოდება“.

გარდა ამისა, „ინტერი“ კიდევ ერთი არგენტინელის, ვალტერ სამუელის ხელში ჩაგდებას ისევ ცდილობს. მილანელები „რეალთან“ მოლაპარაკებებს აგრძელებენ და, როგორც ამბობენ, გარკვეულ დეტალებზეც შეთანხმდნენ. თუმც პრობლემა ამ შემთხვევაშიც ფულია.

გუნდის ფრანგი ნახევარმცველი სტეფან დალმა კი სავარაუდოდ, „სან სიროს“ დატოვებს და ესპანეთში გადაბარგდება — მას „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ აქვს და წასვლა გადაწყვიტა. ამბობენ, რომ 26 წლის გარემარბი უკვე შეუთანხმდა სანტანდერის „რასინგს“ სამწლიან კონტრაქტზე. ფეხბურთელმა სანტანდერში ჩასვლაც მოასწრო და თავისი მომავალი კლუბის ვარჯიშს დაესწრო.

**გიორგი ძაძაბაძე**


ტრაიანოს დელასმა (ჰაერში) შესაძლოა, „ლაციოში“ ითამაშოს

# დელასს რომი გაუტკბა

**ბერძენი** მცველი ტრაიანოს დელასი „ლაციოში“ გადასვლასთან ახლოსაა. „რომას“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, „ბიანკოჩელესტესთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას.

„შემიძლია დავადასტურო, რომ „ლაციო“ დაინტერესებულია და ეს ტრაიანოსს ძალიან ახარებს, რადგანაც რომში ცხოვრებას უკვე შეეგუა და აქ დარჩენა უნდა. მისთვის მთავარი ფული არ არის. ცოტა ხნის წინ თურქული „ბეშიქთაშის“ ძალიან მიმზიდველ წინადადებაზე ვთქვით უარი. დელასი ყურადღებას აქცევს გუნდის სახელს და პერსპექტივებს. „ლაციო“ კი მის მოთხოვნებს აკმაყოფილებს“ — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა მაურიციო ტონიკიმ.

ყველაფერი საბოლოოდ ალბათ მომავალ კვირაში გადაწყდება, როდესაც დელასი და მისი აგენტი რომაელთა პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს შეხვდებიან.

პარალელურად, „ლაციო“ უკვე გაძლიერდა „უდინეზეს“ ორი ფეხბურთელით — 25 წლის ნახევარმცველი სანჩეს კრიბარი მომავალ სეზონს არენდის წესით გაატარებს „სტადიო ოლიმპიკოზე“, ხოლო 27 წლის მცველი მანუელე ბელერი ამიერიდან სანახევროდ „ბიანკოჩელესტეს“ საკუთრებაა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბოჟინოვმა ოცი დაიფიცა

**ფლორენციის** „ფიორენტინას“ ბულგარელი ფორვარდი ვალერი ბოჟინოვი ქომაგებს მომავალ სეზონში 20 გოლს შეპირდა: „ოცს გავიტან და ფლორენცია თავისი გუნდით იამაყებს. უფრო კარგად ვითამაშებ, ვიდრე „ლეჩეში“. კარგ ფორმაში ვარ და ჩემპიონატის დაწყებას მოუთმენლად ველი“.

ალბათ გახსოვთ, ბულგარელმა ფეხბურთელმა წინა სეზონში 13 გოლი გაიტანა, მაგრამ გოლების რიცხვი იმიტომ ვერ გაზარდა, რომ ტრავმებმა დატანჯა.

„ფიორენტინა“ სამი მოთამაშის — ლუკა ტონი, ვინჩენცო იაკინტა და ბერნარდო კორადი — შეძენას აპირებს. ბოჟინოვის აზრით, კარგი იქნება, თუ „იები“ სამივეს იყიდიან. მათი დამატების შემთხვევაში გუნდი ძალიან გაძლიერდებაო, თქვა ბულგარელმა.

„ფიორენტინას“ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ბოჟინოვი იმედოვნებს, რომ პრანდელის ხელში „იები“ უკეთესად ათამაშდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**


ვალერი ბოჟინოვმა (№20) თქვა, ახლა კარგ ფორმაში ვარო

# სქემიდან ამოვარდნილი
## სისოკო ევერტონს გაამაღლებს

**მოჰამედ ლამინ სისოკოს** აგენტმა ხოსე სეგიმ თავისი კლიენტის „ევერტონში“ გადასვლის საქმე მოაგვარა. პრემიერლიგის ყველაზე მაღალ და მძიმე გუნდს კიდევ ერთი აწონილი ფეხბურთელი დაემატება. ევერტონელთა მწვრთნელ დევიდ მოიესს „ვალენსიას“ მალელი ლეგიონერის გადაბირება ეწადა და მის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს გადახდას დაყაბულდა.

20 წლის სისოკო ამ დღეებში ჩავა ინგლისში, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს.

„მოჰამედ სისოკოს ტრანსფერი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. მხოლოდ რამდენიმე დეტალი დაგვრჩა შესათანხმებელი“ — განაცხადა აგენტმა.

ხოსე სეგიმ უარყო ცნობა, თითქოს მისი კლიენტის გადაბირება „ლივერპულსაც“ სურდა. თავის დროზე მალელი „ვალენსიამ“ რაფაელ ბენიტესის სურვილით იყიდა და ვარაუდობდნენ, რომ ბენიტესი მას გაიყოლებდა.

„რამდენიმე თვის წინ ამ საკითხზე ვისაუბრეთ, მაგრამ „ლივერპულს“ ოფიციალურად არ მოუმართავს“ — აღნიშნა სეგიმ.

მოჰამედ სისოკომ გასულ სეზონში 50 მატჩი ითამაშა, თუმც „ვალენსიას“ ახალ მწვრთნელ კიკე ფლორესს უთქვამს, ეს ფეხბურთელი ჩემს სქემებში ვერ ჯდებაო და გაყიდვაზეც ამიტომ დაითანხმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თეთრ-მწვანე ჟურავსკი

**გლაზგოს** „სელტიკმა“ მაცეი ჟურავსკის გაჯანჯლებული ტრანსფერი მოაგვარა. კრაკოვის „ვისლას“ ფორვარდი შოტლანდიურ კლუბში 2 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„სელტიკი“ რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდა კრაკოველებთან შეთანხმებას და გარიგება ჩაშლის პირასაც მივიდა, მაგრამ კლუბები საბოლოოდ მორიგდნენ. გლაზგოელებისთვის ეს უკვე მეორე საზაფხულო შენაძენია, „არსენალის“ ჯერემი ალიადირის შემდეგ.

გორდონ სტრაჩანი პოლონელი ფორვარდის გასელტიკელებით გახარებულია: „ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა ჟურავსკის გადმოსაბირებლად და რაკი ყველაფერი დასრულდა, კმაყოფილები ვართ. თვითონ ფეხბურთელს სურდა „სელტიკის“ მაისურის მორგება და ეს გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა“.

მაცეი ჟურავსკი: „ამ კლუბს დიდი ისტორია აქვს და გადასარევი ფანები ჰყავს. „სელტიკში“ თამაში ჩემთვის ბედნიერებაა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ეს ჩილელი ვინ ყოფილა
## ჯიუტი პიზარო უდინეზეს უარობს



დავიდ პიზარო (ბურთით) „უდინეზეს“ პირველ ვარჯიშს არ დაესწრო

**„უდინეზეს“** ნახევარმცველი დავიდ პიზარო კვლავ ჯიუტად გაიძახის, კლუბის გამოცვლა მინდა და მომავალი სეზონი რომელიმე გრანდის რიგებში უნდა დავიწყოო. „ფრიულის“ ბინადრები უკვე შეუდგნენ წინასასეზონო მზადებას, მაგრამ ჩილელი უდინეში ჯერ არ დაბრუნებულა. დიდი შანსია, იგი „ინტერში“ გადავიდეს. ეს ინფორმაცია მისმა აგენტმაც დაადასტურა.

„დავიდი უდინეში კვირას დაბრუნდება. მას კლუბის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ სხვაგან გადასვლა უნდა. უკვე რა ხანია, მის სახელს გრანდებს უკავშირებენ, მაგრამ სერიოზულ წინადადებამდე საქმე ერთხელაც არ მისულა. ახლა ვითარება შეიცვალა, „ინტერთან“ მოლაპარაკება დავიწყეთ და მილანური კლუბიც ძალიან დაინტერესებულია მისით. „ნეროაძურის“ თავკაცი რობერტო მანჩინი პიზაროსადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი და ეს დამატებით სტიმულს გვაძლევს. იმედია, ყველაფერი მალე და ჩვენდა სასიკეთოდ მოგვარდება“ — თქვა ჩილელის აგენტმა ფერნანდო იდალგომ.

დავიდ პიზაროს სახელს ტურინის „იუვენტუსსაც“ უკავშირებდნენ, მაგრამ მისმა აგენტმა ეს ვარიანტი, ფაქტობრივად, გამორიცხა.

ფერნანდო იდალგო: „ტურინელები პატრიკ ვიეირას ტრანსფერით არიან დაკავებულნი, ეს კი პიზაროს „დელე ალპიზე“ გადასვლას ხელს შეუშლის. ხოლო ჭორები, თითქოს დავიდს იყიდიან და ანტონიო კასანოში გასაცვლელად გამოიყენებენ, ფანტასტიკის სფეროს ჰგავს“.

**გიორგი ძაძაბაძე**



ბერნარდო კორადის გენუის „სამპდორია“ ეპატიჟება

# კორადი, ტომასონი და რეკობა
## სამპდორია ფორვარდის ძიებაშია

**გენუის** „სამპდორიას“ ახალი სეზონის დაწყებამდე თავდასხმის გაძლიერება უნდა და სათანადო კანდიდატებს არჩევს. ერთ-ერთი მათგანი ბერნარდო კორადია, რომელსაც „ვალენსიას“ დატოვება აქვს გადაწყვეტილი. ვალტერ ნოველინოს კლუბს კორადიში მისი ყოფილი გუნდი, რომის „ლაციო“ ეცილება.

„ის კარგი ფეხბურთელია და სიამოვნებით დავიმატებდით, თუმცა ჯერჯერობით ტრანსფერზე საუბარი ძალიან ნაადრევია“ — აღნიშნა გენუელთა გენერალურმა დირექტორმა ბეპე მაროტამ.

პარალელურად, „სამპდორია“ იონ დალ ტომასონის გადაბირებაზეც ფიქრობს. მოგეხსენებათ, დანიელი ფორვარდის „მილანიდან“ წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, თუმც „როსონერი“ ჯერჯერობით მასთან განშორებას არ ჩქარობს.

ბეპე მაროტა: „ტომასონი ასევე მაღალი კლასის თავდამსხმელია, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. ყველაფერი მნიშვნელოვანწილად „მილანის“ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული“.

„სამპდორიას“ გენერალური მენეჯერს ალვარო რეკობაზეც ჰკითხეს. გეცოდინებათ, გენუელებს ურუგვაელის ხელში ჩაგდებაც ძალიან უნდათ. მისდამი დიდი სიმპათიით ყველაზე მეტად მწვრთნელი ვალტერ ნოველინოა განწყობილი, მაგრამ „ინტერთან“ მოლაპარაკება არ ხერხდება.

„ეს ამბავი სერიალს მაგონებს, რომელსაც დასასრული არ უჩანს. რეკობას ჩამოსვლა ძალიან გაგვახარებდა, მაგრამ „ინტერისგან“ არაფერი ისმის“ — დასძინა მაროტამ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბიუჯეტის შემცირების გამო

**„მარსელის“** ნიჭიერი გამთამაშებელი სამირ ნასრი კლუბთან ახალ კონტრაქტზე ვერ რიგდება. ეს ამბავი ევრობობოლებმა გაიგეს და 18 წლის ფეხბურთელს „ჩაუსაფრდნენ“. განსაკუთრებით პრემიერლიგელები („არსენალი“, „ნიუკასლი“, „ლივერპული“ და „ჩელსი“) აქტიურობენ.

„არსენალმა“ შარშან ზაფხულს უკვე წაჰგვარა „მარსელს“ ერთი ნახევარმცველი, მეთიუ ფლამინი, რომლის სანაცვლოდაც მიზერული თანხა გადაიხადა, რადგან ფლამინის კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ ჰქონდა.

სამირ ნასრის „მარსელთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს, მაგრამ ფეხბურთელს ჯამაგირის მომატება და მარსელში დარჩენა სურს.

„ჩვენ ახალ პირობებზე ჯერჯერობით ვერ შევთანხმდით და მოლაპარაკება გრძელდება. ამიხნეს, რომ ბიუჯეტი შემცირებულია და ხელფასს ველარ მომიმატებენ“ — თქვა ნასრიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შვიდი წელი მამლებთან



პოლ რობინსონი

**„ტოტენჰემისა“** და ინგლისის ნაკრების მეკარე პოლ რობინსონს თავისი გუნდი ისე ჰყვარებია, რომ შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რობინსონი „მამლებში“ შარშან გაზაფხულზე მილიონნახევარი გირვანქის სანაცვლოდ „ლიდსიდან“ გადავიდა. ლონდონურ კლუბში ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა და სვენ-გორან ერიკსონმაც ნაკრების კარი ანდო.

ვარაუდობდნენ, რომ 25 წლის მეკარეს ამ ზაფხულს რომელიმე ევროგრანდი იყიდიდა, მაგრამ „ახალგაფორმებულმა“ რობინსონმა განაცხადა: „არასოდეს გამიხდია საეჭვო „ტოტენჰემში“ დარჩენა. აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და კლუბის პატრონიც ჩემით კმაყოფილია“.

„მამლებმა“ მეკარე შეინარჩუნეს, მაგრამ კამერუნელი მცველი ტიმოთე ატუბა ბუნდესლიგისკენ იწევს, „ჰამბურგში“ მინდაო.

„ჰამბურგის“ სპორტულ დირექტორს ვესაუბრე და შეთანხმებას მივაღწიე. „ტოტენჰემში“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ვხვდები, გუნდის გამოცვლაც ამიტომ გადავწყვიტე. ეროვნულ ნაკრებში თამაში მსურს, ამისთვის კი სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია“ — თქვა ატუბამ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# როტერდამელი ბიჭები ნალოთარს ჩააბარეს



ტონი ადამსი

**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ კაპიტანყოფილი ტონი ადამსი სამუშაოდ ჰოლანდიაში წავიდა. მას როტერდამის „ფეიენოორდის“ 21-წლამდელთა გუნდი ჩააბარეს.

„იტალიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში სამწვრთნელო გამოცდილება მივიღე. ახლა ჰოლანდიაში მივდივარ, რადგან როტერდამელთა წინადადებამ ძალიან მომხიბლა. მჯერა, რომ იქაურ ფეხბურთელებს ჩემს ცოდნას გავუზიარებ და მეც ბევრს ვისწავლი“ — თქვა ადამსმა.

ტონი ადამსმა ფეხბურთელის კარიერა 2002 წელს დაასრულა. 2003-ის ნოემბერში მეოთხე დივიზიონის „უიკომბი“ ჩაიბარა, მაგრამ პირადული მიზეზების გამო, გასულ შემოდგომაზე გუნდი დატოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მანჩესტერის კორეული ვირუსი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთი კორეელით უკვე გაამდიდრა — „პსვ ეინდჰოვენის“ ნახევარმცველმა ჯი-სუნგ პარკმა პრემიერლიგურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და იგი გუნდს აზიურ ტურნეში შეუერთდება.

პარკის ამბავი ჯერ არ გაცვეთილა, მანჩესტერელები კი პსვ-ს მეორე კორეელს მიადგნენ — ჯისუნგ პარკი მარტო ცოდვაა, მეგობარი უნდაო და მეორე კორეელის, პიო-იუნგ ლის წაყვანაც ჩაუფიქრებიათ. ამის გამო გუუს ჰიდინკი შეშფოთებულა: „ნებისმიერ მწვრთნელს სჭირდება მისთვის მთავარი ფეხბურთელი, მაგრამ ძალით ვერავის დააკავებ. ვინმემ წასვლა რომ მოინდომოს, ვერ დააბამ. ჩვენ არ გვსურს პიო-იუნგ ლის დათმობა, თუმც არც ნაძალადევად დატოვებული ფეხბურთელი გვჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კარგია ლიგაში

**ჩემპიონთა ლიგაში** თამაში ჯიბისთვის ძალიან კარგი რომ არის, ადრეც ვიცოდით, მაგრამ გუშინდელ „სარბიელში“ უეფას ოფიციალურ ბიულეტენზე დაყრდნობით ეს ცოდნა რიცხვებით განვამტკიცეთ. შეგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ ჩამოწერილ, შარშანდელ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილ კლუბთა გასწვრივ აღნიშნული იყო ყველა ტიპის შემოსავალი და მათი ჯამი. სამწუხაროდ, ერთგან გაიპარა კორექტურული შეცდომა — კერძოდ, თავში მოყვანილი გახლდათ ყველა გუნდისთვის საერთო, გარანტირებული დანარიცხის ორი ვარიანტი: საწყისი 25000 შვეიცარიული ფრანკი და 500 ათასი და არა 2 500) თითოეულ მატჩში მონაწილეობისთვის ანუ, ჯგუფის ექვსი მატჩის ჯამში 3 მილიონი, რაც ძალიან მადისაღმძვრელი თანხაა.

# ბაბუ და უავგუსტესი სამყარო

*1996 წელია, ინგლისში ევროპის ჩემპიონატი მთავრდება, „უემბლიზე" ბოლო თამაში ბოლო წუთებს ითვლის. მოედანზე ტურნირს შემორჩენილი ორი გუნდია, გერმანია და ჩეხეთი, თუმცა უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ამაზე არ ფიქრობს. ის სხვა ფიქრითაა დაკავებული, თავს იმხნევებს. მიზეზი გაინტერესებთ? მიზეზი მარტივია, მისკენ ინგლისის დედოფალი ელიზაბეტი მოემართება სახეზე ღიმილითა და გაშლილი ხელით*



ლენარტ იუჰანსონი

**თხუთმეტწლიანი** პრეზიდენტობის მანძილზე ვისთვის აღარ ჩამოურთმევია ევროპული ფეხბურთის მმართველს ხელი, პაპისა და სახელმწიფოთა მმართველებისთვის, პრემიერ-მინისტრებისა და მეფეებისთვის... და ვაღიაროთ, ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, ევროპული ფეხბურთი გვარიანად შეიცვალა. მაგრამ იმ დღეს, როდესაც მან და მისმა ძმებმა პირველად ნახეს ფეხბურთი, გონებაში ასეთი კითხვა უტრიალებდა: ნეტავ, სად იყიდება ძეხვი ან ნაყინი?

დღეს, ნაყინის დროებიდან 60 წელიწადია გასული და ის პატარა, ენთუზიაზმით სავსე ბიჭი თავისი საყვარელი სახეობის საჭის მპყრობელი გახლავთ. იგი ერთგულად შემორჩა თამაშს, რომელიც იმ დღეს პირველად ნახა. შემორჩა და უერთგულა.

თუმცა, დავუბრუნდეთ იმ დღეს, როდესაც ლენარტ იუჰანსონი დედოფალ ელიზაბეტს შეხვდა და ვაპატიოთ, ვინაიდან...

„რომ გიამბოთ, ძნელად დაიჯერებთ, მაგრამ იმ დღეს კისერი მქონდა გაციებული და თავს ვერ ვხრიდი, დედოფალი კი ჩემზე გაცილებით დაბალია — ღიმილით იგონებს უეფას შეფი — ჰოდა, როდესაც ველაპარაკებოდი, იძულებული ვიყავი თავი გარკვეული კუთხით დამეხარა, ისე, როგორც კისერი მაძლევდა საშუალებას და მგონი, მასზე მეტად სამეფო პოზაში მე ვიდექი".

არადა, ეს პატარა ამბავი სულაც არ არის. კერძოდ, ძალიან მნიშვნელოვანია, ჰალსტუხი სწორედ გაქვს თუ არა შეკრული, თმა როგორ გაქვს დავარცხნილი და ასე შემდეგ. მერედა, ვინ-ვინ და ლენარტ იუჰანსონმა კარგად უწყის, რომ თითოეულ მონარქიულ ქვეყანაში ეტიკეტი თავისებურია, სხვა ქვეყნისგან განსხვავებული. საერთო კი ის არის, რომ ამ ეტიკეტებს დაცვა ყველგან მკაცრად სჭირდება.

„მართლაც, ყოველ ქვეყანაში თავისებური ეტიკეტია — ამბობს ის — ინგლისის დედოფალთან შეხვედრის წინ გამაფრთხილეს, რომ ჯერ თქვენო უდიდებულესობავ მეთქვა, ხოლო მადამ მხოლოდ ამის შემდეგ დამეყოლებინა. გამაფრთხილეს აგრეთვე, როგორ უნდა ავსულიყავი და ჩავსულიყავი კიბეზე. ზოგიერთ ქვეყანაში პროტოკოლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია".

იუჰანსონი ამბობს, რომ პრესტიჟული შეხვედრების წინ, იგი როგორც წესი, ცოტას ნერვიულობს, თუმცა ზოგიერთი ფეხბურთელის მონათხრობისა არ იყოს, მასაც, წარმატებისთვის ადრენალინის პორცია სჭირდება.

„ეს მოედანზე სათამაშოდ გასვლას ჰგავს, როდესაც ცოტა ნერვიულობა და ცოტა კონცენტრაცია აუცილებელია. ასეთ შემთხვევაში უფრო დაკვირვებით პასუხობ შეკითხვებს, რომელთაც იგი, რომ გულდასმით ინიშნავენ. რეპეტიციას არასდროს გავდივარ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ წინასწარ მივხვდე, რაზე იქნება ლაპარაკი. თან ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მე ასეთ შეხვედრებზე ევროპულ და მსოფლიო ფეხბურთს წარმოვადგენ. ამიტომაც ვხმარობ ყველა ღონეს, რათა შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ წარმოვჩნდე. თუმცა მონარქები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩვეულებრივი ადამიანები არიან. სხვათაშორის, ისინიც, რაც უფრო შედიან ასაკში, ურთიერთობებში მით უფრო თავისუფალნი ხდებიან. მახსოვს, როდესაც შვედეთის მეფეს, კარლ მეჩვიდმეტე გუსტავს კრონპრინცობის დროს შევხვდი — კლუბის იუბილეზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ჯდომა მოგვიხდა — ის ჩემზე მეტად ნერვიულობდა. ახლა, როდესაც მხედავს, მცნობს და თავისუფლადაც იქცევა. ამ ყველაფერს კი წლები სჭირდება".

კიდევ, იუჰანსონი ნელსონ მანდელასთან შეხვედრასაც იგონებს დიდი სიამოვნებით.

„მასთან შეხვედრა ყველაზე ერთნაირად მოქმედებს. მთავარია, ადამიანმა იცოდეს მისი ბიოგრაფია და შთაბეჭდილება გარანტირებული ექნება. ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იგი ჩემს გაცნობილ ადამიანთა სიაში ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე დგას".

უეფას პრეზიდენტის ცხოვრებაში ასევე ერთ-ერთი უდიდესი მომენტი, ამ გაზაფხულზე გარდაცვლილ პაპთან, იოანე-პავლე მეორესთან შეხვედრა გახლდათ.

„მისი დაკრძალვა ხომ ნახეთ და ალბათ მიხვდით, რასაც ნიშნავდა ეს ადამიანი ხალხისთვის. როდესაც ელაპარაკებოდი, სულის კუნჭულებამდე გხედავდა. აშკარა იყო, ძალიან კარგად უწყოდა, ვინ და რა იყავი. ის გახლდათ ადამიანი, რომელიც მსოფლიოს დააკლდა".

და იუჰანსონი ძალიან ნანობს, რომ ცხოვრებამ ფრენკ სინატრასთან შეხვედრის საშუალება არ მისცა. იგი სიცილით ამბობს:

„გარანტიას გაძლევთ, რომ შემდეგ ცხოვრებაში აუცილებლად შევხვდები და ვესაუბრები".

ახლა, ხუმრობა გვერდით იყოს და ისა ეთქვათ, რომ ფეხბურთმა ლენარტ იუჰანსონს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი ტიტული მოუტანა. მათ შორისაა სამხრეთაფრიკული უმაღლესი ორდენი რთული სახელწოდებით და ბორის ელცინის მიძღვნილი მეგობრობის ორდენი.

მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ლენარტ იუჰანსონი შვედია და შესაბამისად, შვედური ჯილდო ურჩევნია ყველაფერს. ეს ამბავი დაახლოებით ხუთი წლის წინ მოხდა — იუჰანსონმა თავისი ხელმწიფისგან მერვე ზომის მედალი მიიღო. 2003 წელს შვედეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მთავარ ჯილდოს მისი სახელი უწოდეს. ახლახან კი შვედეთის მთავრობამ „ილის ქვორუმის" ოქროს მედლით დააჯილდოვა, რაც მას ყველაფერზე მეტად ახარებს.

„ეს ჯილდო იშვიათად გაიცემა — განმარტავს იუჰანსონი — და პირდაპირ რომ გითხრათ, ეს ჯილდო ყველას მირჩევნია".

კი მაგრამ, სად არის ამდენი მედალი? — იკითხავთ თქვენ. სად და კაბინეტში.

„მე მათ არ ვიკეთებ, — ამბობს უეფას პრეზიდენტი, — ჩემი შვილიშვილებს კი ძალიან უყვართ მათთვის თვალის შევლება".

ამ მედლები, კარგად თუ დააკ[illegible]ხით, ლენარტ იუჰანსონის მთელ კარიერას აღწერენ. „ალ ხილნის" პრეზიდენტობიდან დაწყებული, შვედეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტობით გაგრძელებული და ფიფას ვიცე-პრეზიდენტობით დამთავრებული.

„როდესაც ჯილდოებს გადავხედავ, სიამაყის გრძნობა გეუფლება, მით უფრო, თუ იცი, რომ ეს ჯილდოები შენთვის შემთხვევით ან უბრალოდ, ტრადიციის გამო არ მოუციათ. ხალხმა, რომელიც მე მაჯილდოვებს, იცის, რომ მათი ქვეყნის და მათი ფეხბურთის განვითარებაში წვლილი მაქვს შეტანილი და ეს არის მიზეზი".

მაგრამ არის კიდევ ერთი, დაუვიწყებელი ამბავი — როდესაც ლენარტ იუჰანსონს რომელიმე სამეფო ოჯახი მასპინძლობს, მისი ახლობლები და ოჯახის წევრები სრულიად განსხვავებული სიხარულით ზეიმობენ.

„ცხადია, ჩემი შვილიშვილები მეფეებთან თუ მხედავენ, ხარობენ, მაგრამ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, დევიდ ბექჰემთან ან ლუიშ ფიგუსთან თუ დამინახავენ. ბაბუ, შენ მათ მართლა იცნობ?" — აი, კითხვა, რომლითაც ისინი მეგებებიან".

და მერე: „ბაბუ, [illegible] ფიგუსთან, მაისური [illegible]".

**პაპუნა კედია**



ლენარტ იუჰანსონი ტკბილი ბაბუაა

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 6 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 15:00 | 7 | როსტოვი-ზენიტი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 15:00 | 8 | ამკარი-ტორპედო | 2.45 | 2.90 | 2.70 | 1.32 | 1.28 | 1.39 |
| 15:00 | 9 | ალანია-ცსკა | 6.00 | 4.20 | 1.40 | 2.47 | 1.13 | 1.04 |
| 15:00 | 10 | მოსკოვი-სატურნი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 15:00 | 11 | რუბინი-შინიკი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 15:00 | 12 | ტერეკი-ტომსკი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 13 | დინამო-კრილია | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 15 | ჰიოდი-ფოლო | 1.80 | 3.70 | 3.60 | 1.21 | 1.20 | 1.82 |
| 20:00 | 16 | მანდალი-სოგნდალი | 2.15 | 3.70 | 2.60 | 1.35 | 1.17 | 1.52 |
| 20:00 | 17 | პორს გრენლანდი-სტაბეკი | 3.10 | 3.70 | 1.90 | 1.68 | 1.17 | 1.25 |
| 20:00 | 18 | ლოვ ჰამი-ალტა | 2.30 | 4.00 | 2.40 | 1.46 | 1.17 | 1.50 |
| 20:00 | 19 | ბრინი-ჰიონეფოსი | 1.65 | 4.00 | 3.90 | 1.16 | 1.15 | 1.97 |
| 20:00 | 20 | კონგსვინგერი-ტონსბერგი | 2.00 | 3.70 | 3.00 | 1.29 | 1.20 | 1.65 |
| 20:00 | 21 | სანდეფიორდი-მოსი | 1.75 | 3.70 | 3.80 | 1.18 | 1.19 | 1.87 |
| 20:00 | 22 | სკეიდი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 3.70 | 1.95 | 1.65 | 1.18 | 1.27 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 27 | სუნდსვალი-იურგორდენი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **სუპერეტა** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 31 | ლიუნგსკილე-ატვიდაბერგი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 32 | დეგერფორსი-ოსტერსი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 33 | ბოდენსი-ფრიოლუნდა | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 19:00 | 34 | ბრომაპოიკარნა-გაის | 3.00 | 3.40 | 2.10 | 1.59 | 1.23 | 1.29 |
| 19:00 | 35 | მიალბი-იორებრო | 3.85 | 3.30 | 1.85 | 1.77 | 1.24 | 1.18 |
| 19:00 | 36 | ტრელებორგი-აიკ | 3.50 | 3.40 | 1.90 | 1.72 | 1.23 | 1.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 37 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.65 | 3.60 | 4.20 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| 21:00 | 38 | ვესბი-ვესტეროსი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 40 | მიუპა-კტპ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 41 | ჰიკ-ლაჰტი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:00 | 42 | როვანიემი-იარო | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 43 | მარიეჰამნი-ტურკუ | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 44 | კუოპიო-ტპ 47 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 46 | ვესტმანაეიარი-ფრამი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 48 | რეიკიავიკი-ფილკირი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 49 | უოტერფორდი-დუბლინი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 13:30 | 64 | იჩიჰარა-ნიიგატა | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 13:30 | 65 | კაშიმა-კავასაკი | 1.50 | 3.50 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.10 |
| 14:00 | 66 | ნაგოია-იოკოჰამა | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 14:00 | 67 | ტოკიო-ვერდი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 14:00 | 68 | კობე-შიმიცუ | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| 14:00 | 69 | ურავა-ომია | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 14:00 | 70 | ივატა-ნერეძო | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 71 | გამბა-კაშივა | 1.50 | 3.50 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.10 |
| 14:00 | 72 | ოიტა-ჰიროსიმა | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 76 | ვაშინგტონი-კანზასი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 77 | ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 23:45 | 78 | კოლამბუსი-სან ხოსე | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 23:45 | 79 | ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 23:45 | 80 | ჩივასი-სოლტ ლეიკი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |

**არგენტინა**

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 168 | ინსტიტუტო-ურაკანი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 23:45 | 169 | არგ. ხუნიორსი-ატლეტიკო | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |

**ბრაზილია**

**9 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 81 | პაისანდუ-ფორტალესა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:00 | 82 | პარანა-ფიგეირენსე | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:00 | 84 | ჟუვენტუდი-ბრაზილენსე | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 85 | სან კაეტანო-პონტე პრეტა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 87 | კორინთიანსი-პალმეირასი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 88 | ვასკუ და გამა-ინტერნასიონალი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 23:45 | 89 | კრუზეირო-ატლეტიკო მნ | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 23:00 | 90 | ბოტაფოგო-ფლუმინენსე | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 23:00 | 91 | გოიასი-სანტოსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

**ჩილე**

**9 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 153 | კოკიმბო-უნ.ესპანიოლა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |

**უკრაინა**

**სუპერ თასი (ოდესა)**

**9 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 138 | დინამო-შახტარი | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |

**ინტერტოტოს**

**თასი**

**9 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 106 | პოგონი-სიგმა | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 19:15 | 110 | შტურმი-ვოლფსბურგი | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 17:30 | 111 | გიოტებორგი-ტატაბანია | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 23:00 | 112 | ბილბაო-კლუჟი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 113 | შარლეროუა-ტამპერე | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 22:00 | 120 | ბუდუჩნოსტი-დეპორტივო | 3.60 | 3.50 | 1.75 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 105 | ზლინი-გენტი | 2.20 | 3.20 | [illegible] | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 107 | გლორია-სლავენი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 20:00 | 109 | ლეხი-ლანსი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 19:30 | 114 | ქსამაქსი-სტ.ეტიენი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 20:00 | 117 | ინტერი ტურკუ-ვარტექსი | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | [illegible] | [illegible] |

**ჩოგბურთი. კაცები**

**ნიუპორტი. ბალახი**

**9 ივლისი**

13:00 265 სპეიდი-გოლდშტეინი -------------- 1.50 -------------------------- 2.10

**ფრენბურთი**

**კაცები**

**ევროლიგა**

**9 ივლისი**

18:00 143 რუსეთი-ესტონეთი ---------------- 1.05 -------------------------- [illegible]

15:00 162 ესპანეთი-სლოვაკეთი ------------- 1.25 -------------------------- [illegible]

20:00 163 თურქეთი-ჩეხეთი ------------------ 1.40 -------------------------- [illegible]


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDIT

10

42 00 24


# ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 9 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 70.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 200.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 13.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 40.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 100.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 40.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 5.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 200.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 35.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 35.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 25.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 23.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 19.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 9.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 160.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 1.90 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ფრიზახერი | 250.00 |

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №14 | |
| **თელავი** | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| **ოზურგეთი** | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| **საგარეჯო** | დავით აღმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |


ნუგზარ კანდელაკი


ისლანდია დავამარცხეთ. შემდეგი ფინეთია...

გურამ ღლონტიაშვილის ფოტოები

# ფავორიტმა ფავორიტულად დაიწყო

**საქართველოს** 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ მიმავალ გრძელ გზას დაადგა. ბულგარეთის ზღვისპირა ქალაქი ვარნა ევროპირველობის B დივიზიონის თამაშებს მასპინძლობს. მასში მონაწილე თორმეტი ნაკრებიდან A-ში გადასასვლელ საგზურს მხოლოდ ორი საუკეთესო მოიპოვებს, ტურნირი კი 17 ივლისამდე გასტანს.

გუშინ პირველი ტური დასრულდა და ნუგზარ კანდელაკის გუნდმა ისლანდიას 85:58 მოუგო. ვიდრე ამ თამაშზე ვიტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ თორმეტი მონაწილე ორ ჯგუფში გადანაწილდა. ჯერ ჯგუფური ეტაპი გაიმართება, ხოლო შემდეგ საუკეთესო ოთხეულები მეოთხედფინალურ წყვილებს შეადგენენ.

საქართველოს ნაკრების ისლანდიასთან გამარჯვებაში თავიდანვე არავის ეპარებოდა ეჭვი. კანდელაკის გუნდი სულაც ფავორიტებში სახელდებოდა. გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ახლაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთში გამგზავრების წინ შემადგენლობის ორი აშკარა ლიდერი გამოაკლდა. მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ვარნაში ტრავმების გამო ვერ წავიდნენ.

ახლა კი გუშინდელ მატჩზე. ოქმით თუ ვიმსჯელებთ, თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ ათწუთეულში ყოფილა. იგი ისლანდიელებმა 21:20 მოიგეს, მეორე პერიოდიდან კი უპირატესობას ჩვენები დაეუფლნენ და შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 44:32. მეტოქის რბევა ამის მერეც გაგრძელდა. მესამე პერიოდის შემდეგ სხვაობა უკვე 26 ქულა იყო — 70:44, საბოლოო ანგარიშს კი დასაწყისშიც წაიკითხავდით.

ჩვენი ჯგუფის სხვა ორი მატჩი კი ასე დასრულდა: ფინეთი — ირლანდია 80:58, პოლონეთი — სლოვაკეთი 77:68.

— პირველი თამაში იყო და ცოტას ვნერვიულობდით — გვითხრა ნამატჩევს კანდელაკმა — ისლანდია ჯგუფში მაღალი ადგილების დამკავებელ გუნდად არ მოიაზრება, თუმც ძალიან საინტერესო და უცნაური კალათბურთი აჩვენა. მაღალი მოთამაშეები არ ჰყავთ, რის გამოც აქცენტი პრესინგსა და სწრაფ თამაშზე გააკეთეს. ჩვენც მალევე შევცვალეთ ტაქტიკა და სისწრაფეს სისწრაფე დავუპირისპირეთ, რამაც გაამართლა.

**— ბიჭების თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— პირველი შესვენების კვალობაზე ყველაფერი ნორმალურადაა.

**— ვინმეს გამოარჩევდით?**

— ისლანდიასთან ყველაზე მეტი ქულები ფარღალავამ, საყვარელიძემ და მამაცაშვილმა მოაგროვეს, თუმც ესეც და მთლიანად გამარჯვებაც მთელი გუნდის დამსახურებაა. პირდაპირ გეტყვით, მეტოქეს გუნდური თამაშით მივუგეთ.

**— ვიდრე ისლანდიას დაამარცხებდით, ჩვენი ჯგუფის ორივე თამაში ჩატარდა. მომავალი მეტოქეები საქმეში პირადად ნახეთ?**

— რა თქმა უნდა, ვნახე და ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ყველაზე ძლიერები პოლონელები და სლოვაკები არიან. ორივე ნაკრების წევრები ჩვენზე მაღალები არიან. კარგი გუნდი ჰყავთ ფინელებსაც.

**— მეორე ტურში სწორედ ფინეთს ეთამაშებით...**

— მათი დღევანდელი თამაშის კასეტა საღამოს უნდა გავარჩიოთ, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საშუალოდ დაკომპლექტებული გუნდია, რომლის მოთამაშეებიც ზუსტი ტყორცნით გამოირჩევიან.

**— საინტერესოა კულუარებში რას საუბრობენ, ფავორიტებს ხომ არ ასახელებენ?**

— ფავორიტებში ყველა ჩვენ მოგვიხსენიებდა, ეს ჩამოსვლისთანავე გვაგრძნობინეს, მაგრამ რომ გაიგეს მარკოიშვილი და სანიკიძე გვაკლდა, ცოტა მიწყნარდნენ, მეტოქეებმა კი ისე გაიხარეს, ლამის ბანკეტები გადაიხადეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| სახელი გვარი | ნთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|
| ტატო ვაშაკიძე | 10 | 3 | 4 | 0 | 1 |
| ლაშა გამყრელიძე | 21 | 2 | 2 | 2 | 1 |
| გიორგი მამაცაშვილი | 23 | 14 | 2 | 1 | 4 |
| გიორგი მდივანი | 16 | 5 | 3 | 3 | [illegible] |
| გიორგი ცინცაძე | 26 | 9 | 3 | 4 | 3 |
| ირაკლი საყვარელიძე | 22 | 16 | 5 | 2 | 1 |
| დავით ერქვანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ჩხატარაშვილი | 6 | 0 | 5 | 1 | 1 |
| ლაშა ფარღალავა | 22 | 18 | 8 | 0 | 1 |
| გიორგი ჩაჯლეიშვილი | 7 | 4 | 1 | 0 | 1 |
| დავით იმნაძე | 22 | 7 | 8 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | 16 | 7 | 10 | 0 | 1 |

შენიშვნა: [illegible]

## ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი

**ვარნა. 8-17 ივლისი**

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საქართველო | ბულგარეთი |
| ირლანდია | უნგრეთი |
| ისლანდია | შვედეთი |
| სლოვაკეთი | პორტუგალია |
| პოლონეთი | ბელგია |
| ფინეთი | ალბანეთი |

**9 ივლისი**

სლოვაკეთი — ისლანდია
საქართველო — ფინეთი
საქართველო — პოლონეთი

**10 ივლისი**

ფინეთი — სლოვაკეთი
საქართველო — ირლანდია
ისლანდია — პოლონეთი

**12 ივლისი**

სლოვაკეთი — საქართველო
ირლანდია — ისლანდია
პოლონეთი — ფინეთი

**13 ივლისი**

სლოვაკეთი — ირლანდია
საქართველო — პოლონეთი
ფინეთი — ისლანდია

**15 ივლისი**

მეოთხედფინალი

**16 ივლისი**

ნახევარფინალი

**17 ივლისი**

ფინალი





გურამ ღლონტიაშვილის ფოტოები

საქართველოს ნაკრები ვარნაში ტრავმირებული ლიდერების მანუჩარ მარკოიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის გარეშე ჩავიდა

# I LOVE LONDON!

„აჰა, დასავლეთელი ობივატელის თვალში რუსეთი კვლავ დარჩა არყის, დათვებისა და ტერორისტების ქვეყანად. საწყენია...“ — წერს ვინმე რუსი ივანა, ამერიკიდან კი ვინმე კოტე წუხს:
„პუტინის ინგლისურად მიმართვისა მიუხედავად, მოსკოვმა მკვდარი ვირის ყურები მიიღო. სამწუხაროა, რომ პარიზი არ აირჩიეს.“
აი, ვიღაც ევროპელი ზაზა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ლონდონის არჩევას გაუხარებია და ინგლისურად წერს: **I LOVE LONDON!** მოსკოველი ლავა კი გაკვირვებულია:
„გაუგებარია, მოსკოვს მხოლოდ ამ საქმეში რატომ და რისთვის მიაკუთვნეს ბოლო ადგილი?“
ეს პასუხები ძირითადად რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა გაუგზავნეს ბი-ბი-სი-ს რუსულენოვან რედაქციას იმ კითხვების პასუხად, რომელიც რეფერენდუმზე გამოიტანეს.

**ეს** გამოკითხვა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ქალაქის არჩევასთან დაკავშირებით მოეწყო ჯერ კენჭისყრამდე, მერე — კენჭისყრის შემდეგ.

ამ გამოკითხვის შედეგები ორი სიტყვით ასე შეიძლება შეფასდეს: ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს ყველგან, ოღონდ არა რუსეთში. საპირისპირო პასუხი თითო-ოროლამ თუ გასცა. ამ პასუხთაგან ჩვენ სულ რამდენიმე შევარჩიეთ.

ცნობილია, რომ ამ ქალაქების შეჯიბრებაში ჩარევა თბილისს აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ რიგიდან ვინმე ირაკლი კორძაღიძემ რედაქციას მაინც მისწერა:

„ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს თბილისში, თბილისში და ისევ თბილისში. საქართველომ დაიმსახურა ოლიმპიადების ჩატარების უფლება.“

ირაკლი კორძაღიძე თუ ამას სერიოზულად წერს, აი ვიღაც ვასია ირონიულად ასკვნის, რომ ოლიმპიური თამაშები თბილისში უნდა ჩატარდეს. იგი წერს:

„ყველასთვის ნათელია, რომ ოლიმპიადა უფრო პოლიტიკური მოვლენაა. ამიტომაც ოლიმპიური თამაშებისთვის საუკეთესო ადგილი თბილისია, ან უარეს შემთხვევაში რიგა. მთელ ამ პოლიტიკურ უმსგავსობაზე ეროვნული ყურება ძალიან ძნელია.“

საინტერესოა ვინმე აზერის მოსაზრებაც:

„ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს თბილისში. ამით ქართველები სიამაყით საბოლოოდ დაკარგავენ თავს. სომხები ბოლმით გასკდებიან, აზერბაიჯანი კი აყვავდება და ყველა რეგიონალურ პრობლემას გადაწყვეტს.“

თუმცა, ეს ირონია რა მოსატანია იმ ქარ-ცეცხლთან შედარებით, რომელიც მოსკოვს დაატეხეს თავს:

„მოსკოვის ხელისუფალო არ ძალუძთ მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება. ყველაფერი გადაკეტილია. ყველგან ლითონის მოსაძებნი დეტექტორებია. ზეიმის ნაცვლად ხალხი პრობლემებს ღებულობს. მე ვიყავი კიევში, ევრომაუწყებლობაზე და გაკვირვებული დავრჩი, თუ რამდენად კარგად და უპრობლემოდ შეუძლიათ მათ ყველაფრის ორგანიზება.“ — წერს მოსკოველი სერგეი.

მას მხარს უბამს თანამემამულე დმიტრი:

„არ შეიძლება მოსკოვში ოლიმპიური თამაშების ჩატარება, რომელიც სახელმწიფოა სახელმწიფოში. მოსკოვი ეს პარაზიტია რუსეთის სხეულზე.“

ცეცხლზე ნავთს ასხამს ვორკუტელი რომა:

„მოსკოვი — ეს უძრავ ქონებაზე გაბერილი ფასებია. ადრე თუ გვიან იგი გასკდება და მთელი ოლიმპიური მშენებლობა უკან დაგვრჩება. და ძალიანაც კარგი ქნეს, რომ მოსკოვი უკან გადააგდეს.

თამაშები უნდა ჩატარდეს ყველგან, მოსკოვის გარდა. როცა ქვეყანაში ჭირი მძვინვარებს, მაშინ არავის ეზეიმება.“

# „ოლდ ტრაფორდის“ ოლიმპიური ღია კარი



**როგორც** კი ცნობილი გახდა, რომ ლონდონი 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებსო, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონის „ოლდ ტრაფორდის“ მფლობელებმა განაცხადეს, ჩვენს სარბიელს ოლიმპიურ ტურნირებს დავუთმობთო.

ფეხბურთელთა მატჩების უმრავლესობა, მათ შორის ფინალური ტურნირის, სახელგანთქმულ „უემბლიდის“ სტადიონზე ჩატარდება. თუმცა, ზოგიერთ მატჩს, მათ შორის ერთ-ერთ ნახევარფინალურს, „ოლდ ტრაფორდი“ უმასპინძლებს.

აქვე შევახსენებთ, რომ ინგლისის დედაქალაქის საოლიმპიადო განაცხადის მხარდამჭერ გუნდში სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან ერთად იყვნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები, მათ შორის ბობი ჩარლტონი და ახლანდელი ინგლისის ნაკრების კაპიტანი, მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი.



# ოლიმპიადა ქარპასლასავითაა, ან მოიგებ, ან წააგებ

**ლონდონმა** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება კი მოიპოვა, მაგრამ ახლა სხვაგვარი ციებ-ცხელება იწყება. მისი ორგანიზატორები თუ ფინანსისტები ცდილობენ დაადგინონ, რა ხეირს მოუტანს ეს ოლიმპიური თამაშები ბრიტანეთის დედაქალაქს ან ზარალიანი ხომ არ იქნება იგი. თუმცა, როგორც გამოცდილება გვკარნახობს, წინასწარ მოგებისა თუ ზარალის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

უწინარეს ყოვლისა, ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა უნდა დაარწმუნონ ბეგარის გადამხდელები, რომ ფინანსური ზარალის შემთხვევაში ოლიმპიადა მაინც მომგებიანი იქნება ქალაქისა და საერთოდ ქვეყნის განვითარებისთვის. ისინი უნდა დაარწმუნონ იმაშიც, რომ ოლიმპიური თამაშების მიღება ჩვეულებისამებრ გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდევი. ნათქვამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ცოტაოდენი ისტორია.

როცა მონრეალი 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მისაღებად ემზადებოდა, ქალაქის მერმა ბეგარის გადამხდელების დარწმუნება ხუმრობით სცადა და თქვა, რომ ეს ოლიმპიადა ისეთივე ალბათობით შეიძლება იყოს წამგებიანი, როგორც სავარაუდოდ კაცის დაფეხმძიმება შეიძლებაო.

კანადელები დღემდე იცინიან ამაზე, განსაკუთრებით სიგარეტის ყიდვისას, რომელსაც სპეციალური ბეგარა ამძიმებს, რითაც 23 წლის წინანდელი ოლიმპიური თამაშების ორგანიზების ხარჯებს იხდიან.

თუ კანადელთა სიცილი არ გჯერათ, მაშინ ჰკითხეთ ათენის მოქალაქეებს, მიაჩნიათ თუ არა მათ ოლიმპიური თამაშები მომგებიან საქმედ.

ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე შვიდი წლით ადრე მისი ორგანიზების ღირებულება 1,3 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. როცა საქმე საბოლოო ხარჯთაღრიცხვის შედგენამდე მივიდა, ფასი 5,3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო როცა, ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდა, ანგარიშმა უკვე 14 მილიარდ დოლარს უწია, რამაც ეროვნული ბიუჯეტი გაარღვია.

და მაინც, არც მთლად ისე ზარალიანია ეს საქმე.

პირველი მომგებიანი ოლიმპიური თამაშები 1984 წელს ჩატარდა ლოს ანჯელესში.

ექსპერტები ამბობენ, რომ ამ ოლიმპიური თამაშების გასამართავად ადგილი ძალზე ხელსაყრელად იყო შერჩეული ამერიკის ტელეკომპანიებისთვის და მათ ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად ხელგაშლილობა გამოიჩინეს.

კორპორაციული სპონსორებიც მზად იყვნენ ჯიბეზე ხელი გაეკრათ, რათა ოლიმპიური თუ მსოფლიოს რეკორდები მათი ლოგოტიპების ფონზე დამყარებულიყო.

მომგებიანი იყო ატლანტის ოლიმპიური თამაშებიც. მაშინ ჯორჯიის შტატის დედაქალაქი თავად გახლდათ იმის გარანტი, რომ სარბიელთა ტრიბუნები პირთამდე გაივსებოდა და გაივსო კიდეც, ხოლო ახალი სასტუმროების მშენებლობა თითქმის საჭირო არ გამხდარა. გზებზე არც საზოგადოებრივი ტრანსპორტის უწყვეტი საცობები შექმნილა.

მაგრამ სკეპტიკოსები ამბობენ, რომ ეს სულ სხვა დრო იყო, როცა შემოსავალი მეტი, ხარჯები კი ნაკლები ჯდებოდა.

ახლა ტელეკომპანიები შედარებით ნაკლები ენთუზიაზმით გამოთქვამენ მზადყოფნას ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად კოლოსალური თანხის გაღებაზე.

ოლიმპიური მოძრაობა ოლიმპიური თამაშების კომერციალიზაციას ებრძვის, რაც რეკლამიდან და სპონსორებიდან შემოსავალს ამცირებს, ხოლო თავად თამაშების ხარჯები იზრდება, განსაკუთრებით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ეს განპირობებულია ოლიმპიადებზე უშიშროების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ამ საქმისთვის 1,5 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, რაც იმდენივე იყო, რამდენიც მისი წინამორბედი სიდნეის ოლიმპიური თამაშების მთლიანი ხარჯები.

ახლა ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა აღარ იციან, რაში გამოიყენონ მათი ოლიმპიური ბაზები. თუმცა, იმთავითვე ყველაფერი გონივრულად რომ აეწონ-დაეწონათ, იქნებ ეს პრობლემა არც დადგომოდათ და ატლანტის მსგავსად გადაეწყვიტათ საკითხი.

1992 წელს ბარსელონაში გამართულმა ოლიმპიურმა თამაშებმა ქალაქის ხელისუფალთ საშუალება მისცა, რომ სახსრები ქალაქის ცენტრისა და სანაპიროს სრული რეკონსტრუქციისთვის დაეხარჯათ. ამან ბარსელონა ევროპული ტურიზმის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად აქცია.

იმავდროულად, მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? იქ კი ვხედავთ, კატალონიის დედაქალაქის განაპირას გამოცარიელებულ სპორტულ ობიექტებს.

ფინანსურ მოგებასთან ერთად არის კიდევ ერთი საკითხიც, რომლის გათვლაც წინასწარ შეუძლებელია.

როგორ უნდა გამოვითვალოთ სიდნეისა და საერთოდ ავსტრალიის მოგება, რაც განაპირობა ოლიმპიადამდელმა და თავად ოლიმპიადის დროინდელმა რეკლამამ, რომელიც მათ გაეწიათ მთელ მსოფლიოში?

სიდნეიმ ოლიმპიური თამაშების წყალობით დაიმკვიდრა მუდამ დინამიური, ღია და თანამედროვე ქალაქის იმიჯი.

ასე რომ, ფინანსურ ხარჯებთან ერთად, რომელიც ყოველთვის ვერ ანაზღაურებს ზარალს, ოლიმპიადას მოაქვს ძნელად შესაფასებელი პლიუსები კომპანიებისთვის, ადგილობრივი მოქალაქეებისა და მისი სტუმრებისთვის, რაც მშრალ ბუღალტრულ ციფრებში ვერაფერით აისახება.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფედერაციის თასი 2005

### წინა სანახევარფინალო მიმოხილვა

# ამერიკული დესანტი მოსკოვში

## იანკებს უიმბლდონის სამგზის დედოფალი უყოჩებთ

**ამ** უქმეებზე მსოფლიოს ზეპურ ქალთაგან უმრავლესნი ერთმანეთს საფედთასოდ შეეხლებიან. ზეპური ჯგუფის ერთ ნახევარფინალში შარშანდელი ჩემპიონი რუსეთი ახლახან უიმბლდონზე გაჩემპიონებული ვინუს უილიამსის მიერ ნაყოჩარ ამერიკას უმასპინძლებს, მეორეში კი 2003 წლის ჩემპიონი საფრანგეთი ესპანეთს დაუხვდება.

ამ კვირამდე ცნობილი იყო, რომ ამერიკული მდედრიონისთვის ამქრის ამჟამინდელ პირველოსან ლინდსი დევენპორტს უნდა ეთამაშა, მაგრამ უდაძაბულეს უიმბლდონურ ფინალში ვინუსისგან ძლეულმა ლინდსიმ იქვე წელიც იტკინა და ამის გამო მოსკოვს ჩასვლა იუარა.

ლონდონურ სეფებალახზე უკვე მესამედ გაჩემპიონების შემდეგ რეიტინგსიის მერვე ადგილამდე ალზევებულ უფროს უილიამსდას რუსთა წინააღმდეგ საერთეულო მატჩებში ჩოგანს 52-ე სარეიტინგო ალაგზე მდგომი მაშონა ვაშინგტონი აუბამს, ვისთვისაც ეს საფედთასო დებიუტი იქნება. წყვილად კი ამერიკელთაგან კორინა მორარიუ და ჯილ კრეიბასი გაირჯებიან.

მოსკოვის ოლიმპიური სტადიონის წითელმიწაზე ამათ ორგზის სლემფინალოსანი ელენა დემენტიევა და შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონი ანასტასია მისკინა, და ასევე შედარებით გამოუბრძმედნი — რანგით 27-ე დინარა საფინა და რანგით 31-ე ვერა დუშევინა დაუხვდებიან.

აშშ და რუსეთი ფედთასზე ერთმანეთს აქამდე ოთხჯერ დატაკებიან და ოთხჯერვე ამერიკელებს უმარჯვიათ. ბოლოჯერ მათ 1999 წლის ფინალში იპაექრეს, სადაც მეტოქეებს — და, სახელდობრ, სწორედ ვინუს უილიამსს — ერთადერთი მატჩი ელენა დემენტიევამ მოუგო. სულ ვინუსისა და ლენას ჩოგნები ოთხჯერ გადაჯვარედინებულა და მათი პირადი ანგარიში ჯერ-ჯერობით საყაიმოა. აი, მისკინასთან კი სერენას უფროსი დაიკო 3:1 უპირატესობს. რაც შეეხება ვაშინგტონს, დემენტიევას ის პირველად ახლახანს უიმბლდონზე ეთამაშა და დამარცხდა, მისკინასთან დაპირისპირების პატივი კი მას ჯერ არ რგებია.

ახლა მეორე ნახევარფინალზეც.

ესპანელ ბანოვანთა ძლევასა და შარშანწინდლისებრ ფინალში გაღწევას ფრანგი დიაცნი ექს-ან-პროვანში შეეცდებიან. ფედთასს უბრუნდება ფრანგთაგან ყველაზე რეიტინგოსანი — ზეპური ნუსხის მესამე საფეხურზე მდგომი ამელი მორეზმო, ვინაც წინა კვირაში უიმბლდონურ ნახევარფინალში ლინდსი დევენპორტთან სამსეტიან უშეღავათო დაგნარში იძლია. მას მკერდს დაუმშვენებს წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტი, უიმბლდონობის მეოთხედფინალისტი და ამგვარი საბოლოო გარჯის წყალობით რეიტინგსიის მე-13 რანგამდე ალბორგებული მარი პირსი. ამ მძლავრ წყვილს მეტ დამაჯერებლობას შესძენენ გამოცდილი ნატალი დეში (მე-18 ალაგი რეიტინსგიაში) და ნიჭიერი ვირჟინი რაზანო (38-ე).

შედარებით მოკრძალებული გახლავთ ესპანელთა შემადგენლობა, თუმცა ანაბელ მედინა გარიგესი (33-ე), ნურია ლიაგოსტერა ვივესი (39-ე), არანჩა სანჩეს სანტონია (93-ე) და მარია სანჩეს ლორენსო (107-ე) მასპინძლებს საქმეს ალბათ მთლად 5:0-მდეც არ მიაყვანინებენ.

სხვათა შორის, სწორედ ასეთი ანგარიშით დასრულდა ამ გუნდების უკანასკნელი დაპირისპირება, რაიც შარშანდელ მეოთხედფინალში მოხდა. მაშინ დეშიმ, ტატიანა გოლოვინმა, მარიონ ბარტოლიმა და ემილი ლუამ ესპანელთ, რომელთა შორისაც მედინა გარიგესი და სანჩეს ლორენსოც იყვნენ, კორტწმინდად გადაუარეს.

ისე კი — ბარემ ესეც მოვიგონოთ — ესპანეთი საფრანგეთს ჯერაც 4:3 უგებს.

სხვაფრივ — ამ დღეებშივე გაიმართება ზეპურ ჯგუფში მოსახვედრი პლეიოფებიც, სადაც ბელგია არგენტინას დაეჯახება, შვეიცარია — ავსტრიას, გერმანია — ხორვატიას, ხოლო ჩეხეთი — იტალიას.

უკანასკნელი 28 წლის პირველ ბელგო-არგენტინულ შეხლაში ევროპელებს მსოფლიოს პირველოსანყოფილი კიმ კლაისტერსი წაუძღვებათ, არგენტინელებს კი — მსოფლიოს 30-ეადგილოსანი ხისელა დულკო. საინტერესო უნდა გამოდგეს ჩეხურ-იტალიური ფედთასოვნებაც, რაკილა სლავთაგან ირკინებს 16 წლის ამოშხვართული ვარსკვლავი ნიკოლ ვაიდიშოვა, ხოლო აპენინელთაგან გამოცდილი ფრანჩესკა სკიავონე (23-ე) და ფლავია პენეტა (24-ე) დაშვრებიან.



XI ეტაპი ბრიტანეთის დიდი პრიზი

## სილვერსტოუნი

სილვერსტოუნი, 10 ივლისი



ტრასის სიგრძე ---------------------------------- 5.141 კმ
რბოლის დისტანცია ------------------------ 60 წრე – 308.355 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 ბატონი (**B.A.R.**); 5 მონტოია (უილიამსი); 6 ფიზიკელა (ზაუბერი) 7 კულჰარდი (მაკლარენი); 8 ვებერი (იაგუარი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1.18,739 (235,1კმ/სთ)



ლონდონში ტერაქტების გამო ფორმულა ერთისკენ ბრიტანულ ეტაპზე პოლიციის გაორმაგებული მზერაა

# „მაკლარენების“ შანსი

**კიდევ** ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ბრიტანული ეტაპი უძველესია და ისევე, როგორც იტალია-საფრანგეთის დიდი პრიზების გათამაშება, ერთხელაც არ გამცდარა.

სწორედ „სილვერსტოუნზე“ ჩატარდა 1950 წლის 13 მაისს „სამეფო რბოლების“ პირველი ჩემპიონატის პირველი ეტაპი. მას შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილი ტრეკის კონფიგურაცია რამდენჯერმე შეიცვალა. უსაფრთხოების მიზნით, 70-80-იან წლებში უსაშველოდ გაზრდილი სიჩქარეების შესანელებლად რამდენიმე ახალი მოსახვევი გაჩნდა, რის შედეგადაც წრე ნახევარი კილომეტრით დაგრძელდა. თუმც „ვერცხლის ქვა“ დღესაც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი საფორმულო ტრასაა. იქ სამი მონაკვეთია, სადაც სიჩქარე 300 კმ-სთ-ს აჭარბებს. იქვეა მთელ ტრეკებს შორის ლამის ყველაზე ჩქაროსნული მოსახვევი „კოპსი“, რომელსაც პილოტები 265-კილომეტრიანი სისწრაფით გადიან.

ხვალ ლეგენდარულ ავტოდრომზე ანშლაგს ელიან. სიძვირის მიუხედავად — ცენტრალურ ტრიბუნაზე ადგილის ფასი 350 დოლარს აღწევს — ასი ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია.

რბოლის ფავორიტად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მდგომი კიმი რაიკონენი („მაკლარენი“) ითვლება და არა ჩემპიონატის ლიდერი, რენოელი ფერნანდო ალონსო. მიზეზი ისაა, რომ „სილვერსტოუნზე“ ძრავის სიძლიერესთან ერთად გადამწყვეტია ბოლიდის აეროდინამიკური მახასიათებლები, რაც საუკეთესო აქვს რაიკონენისა და ხუან-პაბლო მონტოიას „მაკლარენებს“.

ბრიტანელი ბუქმეიკერები რაიკონენის გამარჯვებაზე ფსონებს იღებენ კოეფიციენტით 1,9 შემდეგ მოდიან ალონსო — 4,0, მიხაელ შუმახერი — 6,0, მონტოია — 11,0...

ხვალ ამაღლებული განწყობით გაიჯირითებენ გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი („უილიამსი“) და შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი („რედ ბული“).

28 წლის ჰაიდფელდი პირველად გახდა მამა. მისმა მეგობარმა ქალმა პატრიცია პაპენმა გააჩინა გოგო, რომელსაც ჯუნი დაარქვეს.

რაც შეეხება 34 წლის კულჰარდს, მას „რედ ბულთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ ვეტერანის შედეგებით კმაყოფილმა „წითელი ხარების“ ბოსებმა თანამშრომლობა ერთი წლით გაახანგრძლივეს. „დი-სის“ (კულჰარდის ინიციალები) ორჯერ აქვს მოგებული ბრიტანეთის დიდი პრიზი, თანაც ზედიზედ (1999, 2000), ისევე, როგორც კანადელ ჟაკ ვილნევს (1996, 97), რაც სამჯერ გამარჯვებულ „წითელ ბარონსაც“ ვერ მოუხერხებია, თუმც ხვალ ამის შანსი მიეცემა.

**გია ახალაძე**



## ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

# არმსტრონგი — 54-ე მაგრამ მაინც პირველი




ეტაპის გამარჯვებული რობი მაკივენი

**გუშინ** „ტურ დე ფრანსის“ მეშვიდე ეტაპმა ლუნვილში აიღო სტარტი. ლონდონში მომხდარი ტერაქტების მსხვერპლთ მრბოლელებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი, შემდეგ კი გერმანულ ქალაქ კარლსრუესაკენ დაიძრნენ.

228,5 კმ-იანი დისტანციის დაფარვა სპორტსმენებს წვიმიან ამინდში მოუხდათ. საბოლოო ჯამში ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა ლიდერობა შეინარჩუნა. ტეხასელმა ფინიშის ხაზი 54-მ გადაკვეთა, თუმცა პირველ ადგილზე გასული ავსტრალიელ რობი მაკივენის ჯგუფს არ ჩამორჩენია და მისი დრო — 5 სთ, 3 წთ და 45 წმ შეირგო.

ტრასის ფინალურ მონაკვეთში არმსტრონგის ცხვირწინ ორი მრბოლელი ერთმანეთს შეეჯახა და ასფალტზეც უმალ გაიშხლართა. ამერიკელს წამის მეათედში რომ არ მოეხდინა რეაგირება, მასაც იგივე ბედი ეწეოდა. თუმც გამოცდილმა ლენსმა წაქცეულთათვის გვერდის ავლა მოახერხა და ფინიშს მშვიდობიანად უწია.

სამაგიეროდ, ტომ ბუნენი, რომელსაც კარგა ხანია საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა აცვია, უსიამოვნო ინციდენტს ვერ გაექცა. ეტაპის დასაწყისში ბუნენი წაიქცა და შარლვალიც უხერხულ ადგილას გამოეხა. საბოლოოდ ბელგიელი მეშვიდე ადგილზე გავიდა.

საერთო ჩათვლაში ცვლილებები არ არის. უახლოეს მდევარს, ჯორჯ ჰინკაპს ლენს არმსტრონგი 55 წამით უსწრებს, დანარჩენი კი ქვემოთ მოცემული ცხრილიდან შეგიძლიათ შეიტყოთ.

**ლადო ფულუკიძე**

**მეშვიდე ეტაპი. 8 ივლისი — ლუნვილი-კარლსრუე. 228,5 კმ**

| | |
|---|---|
| 1 რობი მაკივენი (ავსტრალია, დავიტამონ-ლოტო) | 5 სთ. 03 წთ. 45 წმ |
| 2 მაგნუს ბაკშტედტი (შვედეთი, ლიკიგას-ბიანკი) | |
| 3 ბერნჰარდ აიზელი (ავსტრია, ფრანსე დე ჟუ) | |
| 4 გერით გლომზერი (ავსტრია, ლამპრე) | |
| 5 ბადენ კუკი (ავსტრალია, ფრანსე დე ჟუ) | ყველა იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 23 სთ. 01 წთ. 56 წმ |
| 2 ჯორჯ ჰინკაპი (აშშ, დისქავერი) | 55 წმ |
| 3 ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტი-მობილი) | 1 წთ. 02 წმ |
| 4 იენს ფოიგტი (გერმანია, სი-ეს-სი) | 1 წთ. 04 წმ |
| 5 ბობი ჯულიჩი (აშშ, სი-ეს-სი) | 1 წთ. 07 წმ |



AFP მოსკოვიდან

# ჩოგ ანი და ზანი

მოსკოვი, საჩოგბურთო მასტერკლასი. ბავშვებს გამორჩენილთა შორის უგამორჩენილესნი ასწავლიან — აქეთ გამხიარულებული ამერიკელი ვინუს უილიამსი და იქით რუსი ელენა დემენტიევა.



AFP მოსკოვიდან



AFP ლოხ ლომონდიდან

# უბრალოდ, გოლფი

მეგოლფე კოლინ მონტგომერი „სკოტიშ ოფენზე" კი გამოდის და თუ დააკვირდებით, ყვანჯით წყალსაც ამხეფებს, მაგრამ მეჩვიდმეტე ადგილზეა.

# ნელსონიადა

სიდნეიში სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია ნელსონ მანდელას ამბავში ეჩელინჯებიან ერთმანეთს. ფოტოზეც, აბა, სხვა რა ჯილდო უნდა იყოს, თუ არა მანდელას თასი, რომელიც მარცხნივ აფრიკელ მორაგბეთა კაპიტან ჯონ სმიტს და მარჯვნივ ვოლაბით კაპიტან ჯორჯ გრეგანს უპყრიათ.



AFP სიდნეიდან

# ჰელმუტი ზის ნავში და...



AFP ათენიდან

„ელინიკონ ოლიმპიკ კომპლექსი", ათენში რომაა, ისეთი კარგი რამ გახლავთ, რომ კაიაკებით შეჯიბრებისთვისაც კი ყველა პირობაა შექმნილი. ხოლო კაცი, რომელიც ზის ნავში და მიდის ფინიშისკენ, ავსტრიელი ჰელმუტ ობლინგერია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაჩიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კიტორეიშვილი, ლევან ხომერიკი, კახა ზურაბიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბეჟუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლვალიშვილი, მაგდა დიგრაშვილი, ზეიად მოსიაშვილი, ივნგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge